გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 84
(11 643)

29 - 31 ოქტომბერი, 2002 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე...

## იქ, სადაც ბრწყინავდნენ ალიოხინი და ტალი

სლოვენიური ბლედი ჭადრაკის მოყვარულებისათვის საკმაოდ ცნობილი ქალაქია. აქ, 1931 წელს, რუსმა მოჭადრაკემ ალექსანდრე ალიოხინმა ფენომენალურ შედეგს მიაღწია ორწლიან ტურნირში. 26 პარტიიდან მოიგო 15, 11 მათგანი ყაიმით დაასრულა და 20,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საჭადრაკო ელიტის ისეთი ბრწყინვალე წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ ბოგოლიუბოვი, ნიმცოვიჩი, მაროცი, ტარტაკოვერი და სხვები!

30 წლის შემდეგ ბლედში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტურნირი ჩატარდა, სადაც მთელი სიკაშკაშით გაიბრწყინა მსოფლიო ჩემპიონის მიხეილ ტალის ტალანტმა. ტალმა სწორედ აქ „მოაწევინა“ სიგარეტი ლეგენდარულ ფიშერს, რომელიც სატურნირო ცხრილში რიგელს ერთი ქულით ჩამორჩა. თავად ფიშერს ჩამორჩნენ ცნობილი მოჭადრაკეები. კერესი, პეტროსიანი, გლიგორიჩი.

აი, სწორედ ასეთი მდიდარი საჭადრაკო ტრადიციების ქალაქი დღეს მსოფლიოს რიგით 35-ე საჭადრაკო ოლიმპიადასა და ფიდეს 73-ე კონგრესს მასპინძლობს.

ოლიმპიადის პირველ დღეს, ქალთა შეჯიბრებაში, საქართველოს ნაკრებმა 2,5:0,5 დაამარცხა კანადის გუნდი. თავთავიანთ დაფებზე პარტიები მოიგეს მაია ჩიბურდანიძემ და ნინო ხურციძემ, ხოლო ნანა იოსელიანი ყაიმს დასჯერდა. რუსეთის ნაკრებმა 3:0 სძლია მაკედონიის ნაკრებს. პირველი ტურის სხვა შეხვედრები ასე დასრულდა: ბოსნია — ჰერცოგოვინა — ჩინეთი 0:3, უკრაინა — მექსიკა 2,5:0,5, სლოვენია — ბულგარეთი 1:2, რუმინეთი — ბრაზილია 3:0, სინგაპური — იუგოსლავია 0-3, საფრანგეთი — ირანი 1,5 : 1,5.

მეორე ტურში ქართველმა ქალებმა დანიის გუნდს მშრალი ანგარიშით მოუგეს (გაიმარჯვეს ჩიბურდანიძემ, იოსელიანმა და ხურციძემ).

ორი ტურის შემდეგ პირველ ადგილზე ქულათა მაქსიმუმით რუსეთის ნაკრებია, მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან საქართველოს, ჩინეთის, აშშ-ს, რუმინეთის, სომხეთის, ისრაელის, პოლონეთისა და ეკვადორის გუნდები. ვაჟთა შეჯიბრების პირველ ტურში საქართველოს ნაკრებმა 4:0 დაამარცხა ურუგვაის გუნდი (გაიმარჯვეს აზმაიფარაშვილმა, სტურუამ, მჭედლიშვილმა და ჯობავამ). რუსეთის ნაკრებმა ნახევარი ქულა დაკარგა კოსტა-რიკელებთან. საინტერესოა, რომ ვაჟთა ტურნირში ორი საკმაოდ უცნაური გუნდი ასპარეზობს: ინტერნეტის მსოფლიო და სმენადაქვეითებულთა ნაკრებები. პირველმა მათგანმა ვერაფერი გააწყო ამერიკელებთან (0:4), ხოლო სმენას მოკლებულმა მოჭადრაკეებმა ნახევარი ქულა აართვეს ისრაელის გუნდს (0,5:3,5). სხვა შეხვედრები: კუბა — სამხრეთ აფრიკა 4:0, გერმანია — ანდორა 3:1, ინგლისი — სლოვენია 3,5:0,5. ახალი ზელანდია — საფრანგეთი 0:4, დომინიკების რესპუბლიკა — სომხეთი 0,5:3,5, თურქეთი — ჩინეთი 1,5:2,5.



მეორე ტურში ქართველმა ვაჟებმა 3:1 სძლიეს ირლანდიის ნაკრებს. პარტიები მოიგეს აზმაიფარაშვილმა, იზორიამ და გაგუნაშვილმა, დამარცხდა მხოლოდ ჯობავა. ორი ტურის შემდეგ 7,5 — 7,5 ქულით ლიდერობენ კუბის, ინდოეთის და ბულგარეთის გუნდები, 7-7 ქულა აქვთ საქართველოს, საბერძნეთის, უნგრეთის, ყაზახეთის, მაკედონიის, პოლონეთის, რუმინეთისა და სლოვაკეთის გუნდებს.

შეგახსენებთ, რომ ოლიმპიადა მიმდინარეობს შვეიცარიული სისტემით, 14 ტურად.

თენგიზ ჩობანიძე

## მზია ჯულელს

ქალბატონო მზია!

ყველას უსაზღვრო სიხარული მოგვანიჭა იმ დიდმა აღიარებამ, რომელიც თქვენ გხვდათ წილად.

ამიერიდან მაღალ ტიტულებს, რომელიც თქვენს ბრწყინვალე ბიოგრაფიას ამშვენებს, მიემატება საყოველთაო პატივისცემისა და სიყვარულის დამადასტურებელი კიდევ ერთი ჯილდო — „თბილისის საპატიო მოქალაქის“ წოდება.

სულითა და გულით გილოცავთ პირადად ჩემი და ქართული სპორტული საზოგადოებრიობის სახელით.

ღრმა პატივისცემით

ირაკლი მეძმარიაშვილი,
საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.



## მზია ჯულელს

ქალბატონო მზია!

სპორტსმენისთვის ოლიმპიურ ჩემპიონობაზე მეტი ჯილდო რა უნდა იყოს, მაგრამ „თბილისის საპატიო მოქალაქედ“ დასახელება თქვენი, როგორიც ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქის კიდევ ერთი საყოველთაო აღიარების დადასტურებაა და ამ დაფასებას საქართველოს ოლიმპიური ოჯახი, რომლის ღირსეული წევრი თქვენ ბრძანდებით, თავის დაფასებად და გამარჯვებადაც მიიჩნევს. საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის, პირადად ჩემი სახელით მიიღეთ გულწრფელი მოლოცვა.

მუდამ თქვენი პატივისმცემელი

ჯანსუღ ბაგრატიონი,
სეოკ-ის პრეზიდენტი.

*„ლელოს“ რედაქცია თავის მხრივ ულოცავს ქალბატონ მზიას, კიდევ ერთ, მისი ღვაწლის შესაფერის აღიარებას.*

## „ლელოს“ რედაქციას

ბატონო რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გადავუხადო საქართველოს „ზარაფხანას“, პირადად მის გენერალურ დირექტორს, ბატონ დავით ლორთქიფანიძეს, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი თხოვნა და „ზარაფხანის“ ოსტატებმა არა მხოლოდ სრულყვეს „ოლიმპიური ორდენის“ დიზაინი, არამედ დაამზადეს ისეთი პროდუქცია, რომელიც ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს.

გვეამაყება, რომ ქართულმა „ზარაფხანამ“ ასეთ მაღალ დონეზე შეასრულა ჩვენი დაკვეთა.

კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა!

ჯანსუღ ბაგრატიონი,
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი

## დაჯილდოება

*საქართველოში მძლეოსნობის განვითარებისა და სპორტსმენთა აღზრდის საქმეში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის და დაბადებიდან 70 წლისთავთან დაკავშირებით, ვეტერანი მძლეოსანი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი მამია ტუღუში დაჯილდოვდა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სიგელით.*

## ფილამ რომან რურუა დააჯილდოვა

გუშინ მიღებული ცნობით, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილა) მსოფლიოში ჭიდაობის განვითარებისა და პოპულარობის საქმეში შეტანილი უდიდესი პირადი ღვაწლისათვის „დიდი ოქროს მედლით“ დააჯილდოვა მსოფლიოს მრავალგზისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი რომან რურუა.

## ორი ფალავნის იუბილე

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა გუშინ საღამოს გვაცნობა, რომ ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება 16 ნოემბერს ღირსეულად და საზეიმოდ აღნიშნოს ორი სახელოვანი ქართველი ფალავნის — ვახტანგ ბალავაძის 75 და გიორგი სხირტლაძის დაბადებიდან 70 წლისთავი.

## ერევანში ქართველები ლიდერობდნენ

წყალხტომში სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა დავით ამბარცუმიანმა წარუშლელი კვალი დატოვა საბჭოთა სპორტის ისტორიაში. ერევანში ტრადიციულად იმართება მისი ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წლეულს, სამწუხაროდ, მხოლოდ საქართველოსა და სომხეთის წყალმხტომელები მონაწილეობდნენ. ჩვენი სპორტსმენები ამჯერადაც თავისზე უფროსებთან იბრძოდნენ პირველობისათვის. მაგალითად, 11 წლიანები 14 წლიანებში გამოდიოდნენ, 13-14 წლიანები — 16 წლიანებში. 1 მეტრიან ტრამპლინიდან ხტომებში 14 წლიან გოგონებში უძლიერესი იყო სალომე ჯულელი, მესამე ადგილზე გავიდა სოფიკო ხუციშვილი (ორივე 11-11 წლისაა). ბიჭებში მეორე იყო 12 წლის კოტე ნანიტაშვილი, მესამე — შოთა კოროხაშვილი (11 წლის). 3 მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში საუკეთესო კვლავ ჯულელი იყო, მესამე — 12 წლის მარი ტაკაშვილი, რომელიც სოფელ ნორიოდან დადის სავარჯიშოდ თბილისში; ბიჭებში ნანიტაშვილი ამჯერად პირველი იყო, კოროხაშვილი კვლავ მესამე. 5 მეტრიანი კოშკურიდან ხტომაშიც ჯულელმა გამოიჩინა თავი და ყველას აჯობა, მეორე ადგილზე გავიდა ტაკაშვილი; ბიჭებში აქაც ნანიტაშვილი იყო უძლიერესი, კოროხაშვილი კი აქაც ისევ მესამე ადგილს დასჯერდა; 7 მეტრიან კოშკურიდან, 16 წლამდე ჭაბუკთა ასპარეზობაში, პირველი ადგილი მოიპოვა 13 წლის ჭოლა ჭანტურიამ, რომელიც მეორე იყო 3 მეტრიანი ტრამპლინიდან შეჯიბრებაში და 1 მეტრიანიდან — მესამე.



*მარცხნიდან — I რიგში: შ. კორახაშვილი, კ. ნანიტაშვილი, ჭ. ჭანტურია; II რიგში: ს. ჯულელი, ს. ხუციშვილი, ა. ბართაია (მწვრთნელი), დ. ყვავაძე და მ. ტაკაშვილი.*

„გული დაგვწყდა, რომ კონკურენცია მხოლოდ ორ გუნდს შორის წარიმართა. ჩვენი მხტომელები კარგად იყვნენ მომზადებულნი, რაშიაც დიდია დიღმის ოლიმპიური მომზადების ცენტრის (დირექტორი გიორგი უდესიანი) და თბილისის მერიის სპორტის წყალთა სახეობების ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის (დირექტორი გივი ცქიტიშვილი) დამსახურება. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გულთბილი მიღება, რომელიც ერევანში მოგვიწყვეს ტურნირის მასპინძლებმა“ — თქვა ჩვენი ნაკრები გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ბართაიამ, რომელიც თავის ვაჟთან, ირაკლისთან ერთად, თავდადებით ემსახურება სპორტის ამ სახეობაში მოზარდთა დაოსტატებას.

ნოემბრის ბოლოს ქალაქ სტრასბურგში ჩატარდება მეშვიდე საერთაშორისო ტურნირი ევროსაბჭოს ეგიდით და ევროპის 27 ქვეყნის მონაწილეობით. იგეგმება ჩვენი წყალმხტომელების გამგზავრება ამ პრესტიჟულ ასპარეზობაზე.

ირაკლი სარალიძე

## რუსუდან ხოფერია გამარჯვებით დაბრუნდა

ბატუტის ცნობილი ოსტატი რუსუდან ხოფერია სპორტს დაუბრუნდა. სიდნეიში ოლიმპიური თამაშების შემდეგ მას არსად უასპარეზია, მაგრამ ვარჯიშობდა. გუშინ სასიხარულო ცნობა მივიღეთ — შვეციაში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში რუსუდანმა თავის მეწყვილე სოფო გულიაშვილთან ერთად პირველობა მოიპოვა სინქრონულ ხტომებში. აღსანიშნავია, რომ გულიაშვილი სულ ახლახან გადავიდა მოზრდილთა ასაკში. შარშან იგი მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გახდა ინდივიდუალურ ხტომებში.

შვეციის ტურნირში მონაწილეობა, მით უფრო წარმატება, ძალზე მნიშვნელოვანია მოახლოებული ევროპის ჩემპიონატის წინ.

## „დინამო“ კალათბურთი დაუმარცხებელია

შაბათ-კვირას გამართულ კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში ორი გამარჯვება იზეიმა თბილისის „დინამომ“. ლევან მოსეშვილის შეგირდებმა დაძაბულ ბრძოლაში 89:75 სძლიეს სტუ — „ჯეოსელს“, შემდეგ კი იოლად დაამარცხეს სსუ — 114:68.

ბათუმის „ბასკომ“ 84:54 აჯობა „აზოტს“: *სხვა შეხვედრები:* თსუ — „მაკაბი“ 90:72, თსუ — სტუ „ჯეოსელი“ 78:83, ქუთაისი — „აზოტი“ 66:76.

**სატურნირო მდგომარეობა:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 7 | 7 | 0 | 662-470 | 14 |
| ბასკო | 6 | 5 | 1 | 569-425 | 11 |
| სტუ | 6 | 4 | 2 | 521-449 | 10 |
| აზოტი | 6 | 4 | 2 | 471-463 | 10 |
| მაკაბი | 7 | 3 | 4 | 553-564 | 10 |
| თსუ | 6 | 3 | 3 | 519-504 | 9 |
| სსუ | 6 | 1 | 5 | 449-574 | 7 |
| ქუთაისი | 6 | 1 | 5 | 436-543 | 7 |
| აკადემია | 6 | 0 | 6 | 467-560 | 0 |

## კრივის ახალი კომპლექსი და მერე როგორი...

ჩვენს ქვეყანაში, სადაც მავანი და მავანი სპორტული ბაზების ხელში ჩაგდებას და სათავისოდ გამოყენებას დაუოკებელი ჟინით ცდილობს (გაიხსენეთ ვაკის დახურული საცურაო აუზი), ხანდახან სრულიად საპირისპირო ამბავიც ხდება და კაცს იმედი გესახება, რომ კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც სპორტს კი არართმევენ და სტაცებენ, არამედ მატებენ. ამგვარი შესავალი იმ ცინცხალმა ფაქტმა დაგვაწერინა, რომელიც თბილისობის დღეებში მოხდა — გლდანში გაიხსნა „დუნდუების კრივის დარბაზი“ — ოფიციალურად ასე ჰქვია კრივის შესანიშნავ სპეციალიზებულ სპორტულ კომპლექსს, რომელსაც თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისად აღჭურვილი დარბაზ-რინგის გარდა (თანაც ორი რინგით) აქვს ასევე შესანიშნავი სატრენაჟორო, სასტუმრო, კაფე და სასადილო. ეს შესანიშნავი საქმე წამოიწყო და ბოლომდე მიიყვანა სპორტის გამოჩენილმა ქომაგმა ზურაბ დუნდუამ, რომელმაც საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობა შეისყიდა და თვალსაჩინო სპორტულ ობიექტად აქცია, ისეთ ობიექტად, რომლის ბადალი არა მხოლოდ თბილისში, საერთოდ, არ მოიპოვება საქართველოში. ამ ქველმოქმედის ორი ვაჟი მოკრივეა და ამიტომაც დაერქვა ბაზას „დუნდუების კრივის დარბაზი“. ახლა აქ არა მხოლოდ მოკრივეები აიმაღლებენ ოსტატობას, მოეწყობა შეკრებები და ჩატარდება შეჯიბრებები, არამედ გლდანის დასახლების მოზარდები თავისუფალ დროს ქუჩაში კი არა, სწორედ ამ უნიკალურ სპორტულ ობიექტზე გაატარებენ. უკვე შეუდგნენ დამწყები ჯგუფების დაკომპლექტებას.

დუნდუების კრივის დარბაზი




პირველი ასპარეზობა კლუბის პრეზენტაციის დროს ჩატარდა. ეს იყო საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც მომავალში ტრადიციული გახდება. „ისეთი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, რომელსაც მუდამ ჰყავდა ბრწყინვალე მოკრივეები, ნამდვილად იმსახურებდა კეთილმოწყობილ კრივის თანამედროვე სპეციალიზებულ დარბაზს. აღფრთოვანებული ვართ ყველაფრით, რაც ვიხილეთ, მადლობა ბატონ ზურაბ დუნდუას ბრწყინვალე მასპინძლობისთვის“ — თქვა სომხეთის გუნდის მწვრთნელმა ფედია ალექსანიანმა.

თ. თომაშვილი

## „დათვები“ — უდანაკარგოდ

საქართველოს მორაგბეთა ჩემპიონატის VII ტურში თბილისის „ლოკომოტივი“ „ყოჩებს“ შეხვდა და გაიმარჯვა 16:13.

წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერმა ბათუმის „დათვებმა“, როგორც მოსალოდნელი იყო, ქუთაისის „აია“ მისსავე მოედანზე გაანადგურეს — 35.0. „დათვების“ მეორე გუნდმა კი მარცხი იწვნია თსუ-სთან — 8:9.

**სატურნირო მდგომარეობა:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დათვები | 7 | 7 | 0 | 0 | 182:34 | 14 |
| ყოჩები | 7 | 3 | 1 | 3 | 128:119 | 7 |
| დათვები — 2 | 7 | 3 | 0 | 4 | 83:78 | 6 |
| ლოკომოტივი | 7 | 3 | 0 | 4 | 124:135 | 5 |
| აია | 7 | 1 | 1 | 5 | 86:199 | 3 |
| თსუ | 7 | 2 | 0 | 5 | 78:149 | 2 |

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 10 თვე დარჩა

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 4 თვე გვაშორებს

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!**

# ინსპექტირება იწყება...

**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი 2010 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის კანდიდატთა ინსპექტირებას იწყებს**

სოკ-ის სპეციალური კომისია აპირებს ჩაატაროს 2010 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატი ქალაქების ინსპექტირება. კომისიას ნორვეგიელი გერჰარდ ჰაიბერგი ჩაუდგა სათავეში. მომავალი წლის იანვრამდე კომისიის წევრები შეისწავლიან სიტუაციებს შემდეგ კანდიდატ ქალაქებში – ზალცბურგში (ავსტრია), ვანკუვერში (კანადა), პხენჩანში (სამხრეთ კორეა). 2003 წლის მაისისათვის კომისია საბოლოო ანგარიშებს წარმოადგენს.

შეგახსენებთ, რომ 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისათვის იბრძოდა შვეიცარიელი ბერნიც, თუმცა ამ უკანასკნელმა სექტემბერში საკუთარი კანდიდატურა მოხსნა.

2010 წლის თეთრი ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი სოკ-ის 115-ე სესიაზე, 2003 წლის 2 ივლისს, პრაღაში დასახელდება.

# სპორტი თბილისობაზე

ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის თაოსნობით 26-27 ოქტომბერს რიყის ტერიტორიაზე ჩატარდა საქალაქო მასობრივ-სპორტული ღონისძიებები სპორტის თერთმეტ სახეობაში: ქართულ ჭიდაობაში, ფარიკაობაში, ქუჩის ფეხბურთში, ხრიდოლში, კარატეში, სპორტულ ცეკვებში, სიმძიმეების აწევაში, მხატვრულ ტანვარჯიშში, ბაგირის გადაძალვაში, მძლეოსნობაში, აკრობატიკაში. სულ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობდა თბილისის სპორტსკოლების 2000-მდე აღსაზრდელი. გამარჯვებულებს დაურიგდათ ფასიანი პრიზები და გადაეცათ დიპლომები, თითოეულმა მონაწილემ კი სერთიფიკატი მიიღო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ფუდ ჰაუზი" ყველა მონაწილეს ნუგბარით გაუმასპინძლდა.

როგორც თბილისის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსმა დავით ჭელიძემ აღნიშნა, მომავალ თბილისობაზე ღონისძიებებს რამდენიმე სპორტის სახეობა დაემატება.

თამუნა ჯანვერდაშვილი











ცხენოსნობა. «კავკასიის თასი»

# მთავარი პრიზი ქართველ მხედრებს დარჩათ

„კავკასიის თასის" გათამაშება საცხენოსნო დაბრკოლებათა გადალახვაში, უკვე ტრადიციად იქცა. ეს ასპარეზობა საერთაშორისო ფედერაციის (ფეი) ეგიდით და შემწეობით ტარდება, რაც უდავოდ დიდ სამსახურს უწევს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მხედართა დაოსტატებას.

თბილისმა თასის გათამაშებას ამჯერად მეორედ უმასპინძლა. ჩვენმა ფედერაციამ, მისი პრეზიდენტის თენგიზ აბულაძის ხელმძღვანელობით ყველაფერი გააკეთა ასპარეზობის მაღალ და ორგანიზებულ დონეზე ჩასატარებლად, რაც ხაზგასმით აღნიშნეს კიდეც ფეი-ს წარმომადგენლებმა ჟურნალისტებთან საუბარში. „წინსვლა აშკარად იგრძნობა, მოხარული ვართ, რომ საასპარეზო მოედანი უკეთაა მოწყობილი, მოთხოვნებს შეეფერება დაბრკოლებათა კომპლექტი, შარშან სომხები უცხენებოდ ჩამოვიდნენ, ახლა კი მერნებით, რაც უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია. აზერბაიჯანელებს ახალი ცხენები შეუძენიათ. ჩვენი ამოცანაც ეს არის — სტიმული მივცეთ ცალკეულ ქვეყნებში ცხენოსნობის განვითარებას. აშკარაა ქართველ მხედართა ოსტატობის ზრდა, ვფიქრობ მათ შესწევთ უნარი მოიპოვონ ოლიმპიური თამაშების ლიცენზია" — თქვა ფეი-დან მოვლინებულმა ტურნირის მთავარმა მსაჯმა ლენა ლევიდისმა (საბერძნეთი).

გერმანელმა სტუმარმა მეტად საინტერესო სემინარი ჩაატარა, ამასთან, მას დავალებული ჰქონდა დაბრკოლებათა სისტემის დაყენება საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად.

***გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. კონკური №1.*** 1. ირაკლი ბულისკირია (შეგახსენებთ, ამ მხედარმა წლეულს მოსკოვში გამართულ ჰაბუკთა საერთაშორისო თამაშებში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა), 2. ვიქტორ სოვჩაკი (აზერბაიჯანი), 3. ლევან ფანცულაია, ***კონკური №2:*** 1. ნორაკ სტეპანიანი (სომხეთი), 2. სოვჩაკი, 3. კახაბერ კიკიანი. ***„გრან-პრი":*** 1. ბულისკირია, 2. ოთარ ნარმანია, 3. სოვჩაკი, კიკიანი, იბრაგიმოვი (აზერბაიჯანი) და სოვჩაკი (მეორე ცხენით). ***გუნდური. „კავკასიის თასი".*** 1. საქართველო — 44 საჯარიმო ქულა, 2. აზერბაიჯანი — 60, 3. სომხეთი — 181.

ლაშა გოგია

# ნოდარ გუგუშვილის ხსოვნას

ლელოელები



ამა თუ იმ სფეროში გამოჩნდებიან ხოლმე ადამიანები, რომლებიც წარუხოცელ კვალს სტოვებენ და მის მიერ გაკვალულ გზას თამამად მიჰყვებიან თაობები. მით უფრო, თუ ეს პიროვნება არა მარტოოდენ შემოქმედებით, არამედ პიროვნული ღირსებებითაც გამორჩეულად სამაგალითო რჩება. ბედმა ასეთი ადამიანი სწორედ მაშინ მოუვლინა ქართულ სპორტულ ჟურნალისტიკას, როცა საფუძვლიანად უნდა გამყარებულიყო მისი ბალავარი. მაშინ ეს მისია ქართული სპორტული გამოცემების მემკვიდრეს „ლელოს" დაეკისრა მიხეილ კაკაბაძის ხელმძღვანელობით. სწორედ მან შემოიკრიბა იმთავითვე ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც ჰერკულესის სვეტებად შეუდგნენ ახალდაარსებულ გაზეთს და სპორტულ ჟურნალისტიკას.

დრო უთუოდ მოიყვანს ხოლმე ლიდერს. ახალგაზრდა ფილოსოფოსმა ნოდარ გუგუშვილმა, თავისი ღრმა განსწავლულობით, ახალ ხარისხში აიყვანა ქართული სპორტული ჟურნალისტიკა, სათავე დაუდო ფილოსოფიურ წიაღსვლებს ფაქტებისა და არგუმენტების ანალიზისას. სულ სხვა, შეუდარებელი შემეცნებითი შინაარსით, ახლებურად დატვირთული მიდიოდა მკითხველთა ფართო აუდიტორიამდე მის მიერ შეცნობილი და აღწერილი სპორტული სამყარო.

ზემოთ რამდენჯერმე ვახსენე ქართული სპორტული ჟურნალისტიკა. დიახ, ნოდარ გუგუშვილმა ზოგადად ჟურნალისტიკის წიაღიდან, შეიძლება ითქვას, ქართული ბუნებით, ეროვნული საბურველით წარმოაჩინა სპორტული ჟურნალისტიკა, რომელიც საერთაშორისო სფეროდან მხოლოდ აუცილებელ ზოგად პრინციპებს თუ უხდიდა ხარკს. ქართული სპორტული ჟურნალისტიკა ასე ასცდა დუბლირების ზეგავლენას, ანუ იოლ გზას და იმ დინებას დაუდო სათავე, იმ თავანკარა წყაროდ იქცა, რასაც მუდამ დაეწაფებიან თაობები, იმ დამწყებ ჟურნალისტთა ამქარი, რომლებსაც ჭეშმარიტი ქართული სპორტული ჟურნალისტიკა სურთ გაიხადონ პროფესიად.

ჯერ არ შემხვედრია ადამიანი, რომელიც იცნობდა ნოდარ გუგუშვილს და აღფრთოვანებით არ იგონებდეს მას, როგორც უნიკალურ პიროვნებას. ჯერ არ შემხვედრია სპორტული ჟურნალისტი თუ ზოგადად ჟურნალისტი, რომელსაც ნოდარ გუგუშვილთან ან უმუშავნია, ან რჩევა მიუღია და თავს მისგან სამუდამოდ დავალებულად არ გრძნობდეს.

მაინც რა იყო ამ პიროვნებაში ისეთი, რამაც დიდი კაცის, დიდი ადამიანის, დიდი მასწავლებლის სახელი დაიმკვიდრა ყველა ასაკის თანამედროვეთა შორის?

ვინც იცნობდა ნოდარ გუგუშვილს, ამ კითხვაზე ყველას თავისი პასუხი ექნება და თანაც, დარწმუნებული ვარ, შეიძლება უსასრულოდაც ილაპარაკოს მის პიროვნებაზე. ჩემი მეხსიერებიდან არასდროს ამოიშლება იმ სითბო — სიყვარულის გამოვლენა, რასაც დამწყები თუ უკვე სახელიანი, მაგრამ მაინც უმცროსი კოლეგები აქსოვდნენ ორ სიტყვაში — „ძია ნოდარ!" დიახ, ეს არ იყო ჩვეულებრივი მიმართვა, ეს არ იყო უბრალოდ მიმართვის ფორმა, ასე ალბათ ერთმანეთის მოსიყვარულე ოსტატი და შეგირდი თუ მიმართავს მხოლოდ ერთმანეთს.

ნოდარ გუგუშვილის გარდაცვალებიდან შვიდი წელიწადი გავიდა. ვისთვისაც „ძია ნოდარი" საამაყო დამრიგებელი იყო, დღეს უკვე ცნობილი ჟურნალისტი თუ რედაქტორია და არა მხოლოდ სპორტული ჟურნალისტიკით შემოიფარგლება მათი შემოქმედება. იტყვიან, შეგირდი — ოსტატში მეორდებაო. არ შეიძლება არ გეამაყებოდეს, როცა ხედავ, რომ ამ დიდებული პიროვნებისა და პროფესიონალის დამოძღვრილი ახალგაზრდები არა მხოლოდ შემოქმედებით, რაც მთავარია, ცხოვრების წესით ჰგვანან თავიანთ დიდ მასწავლებელს. ასე დააბიჯებს ნოდარ გუგუშვილი კვლავ ჩვენს გვერდით, მისი სახელი და ხსოვნა კიაფობს ქართულ სპორტულ ჟურნალისტიკაში და ასე იქნება მარად...

თენგიზ გაჩეჩილაძე





# და კიდევ... აკაკის ბაღში

თბილისობასთან დაკავშირებით დედაქალაქის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახურმა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ და სპორტკომიტეტმა, აკაკის ბაღში ჩაატარეს დიდუბის რაიონის მეშვიდე ტრადიციული ღია პირველობა ქართულ ჭიდაობაში. თბილისელთა გარდა შეჯიბრში მონაწილეობდა ზუგდიდის, მცხეთის, ზესტაფონის, კასპის, რუსთავის, ლაგოდეხის, ხაშურის, წყნეთის, საგარეჯოს, გურჯაანის, ლანჩხუთის და ახალ გორის 100-მდე ფალავანი. ტურნირს ესწრებოდნენ დიდუბე-ჩუღურეთის გამგებელი გიორგი ჩაჩანიძე, პარლამენტარი გიორგი ბარამიძე, სახელოვანი ვეტერანი ფალავნები. მთავარი მსაჯი გმირი ხაჩიძე იყო.

***გაგაცნობთ წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულებს და პრიზიორებს: 60 კგ:*** 1. მამუკა მაზმიშვილი, 2. მალხაზ კუმლაძე, 3. ვასილ ბერუაშვილი; ***70 კგ:*** 1. გიორგი ბაინდურაშვილი, 2. ზურაბ დოლონაძე, 3. ბაჩუკი კოლიანი; ***80 კგ:*** 1. არჩილ ჩოხელი, 2. დავით მეშველიანი, 3. კახა ყორღანაშვილი; ***90 კგ:*** 1. სოსო პავლიაშვილი, 2. დათო ტერტერაშვილი, 3. მიხეილ თურქაძე; ***+90 კგ:*** 1. ალექსანდრე დავითაშვილი, 2. ლევან გუჯეჯიანი, 3. დიმიტრი ტურაშვილი.

ანზორ კიკნაძის სახელობის პრიზი გადაეცა ალექსანდრე დავითაშვილს, მანვე მიიღო ტურნირის საუკეთესო ფალავნის ჯილდო. ზალიკო ჩიქვილაძის პრიზი ერგო სოსო პავლიაშვილს, საუკეთესო ფანდისთვის დაჯილდოვდა კახა ბადრიაშვილი, ყველაზე სწრაფი გამარჯვებისთვის — ბაჩუკი კოლიანი, ვანო გამხიტაშვილის სახელობის პრიზი დაიმსახურა არჩილ ჩოხელმა, მასვე გადაეცა ყველაზე ხანდაზმული მონაწილისთვის განკუთვნილი პრიზი.

თუ სხვაგან ვერ მოახერხეთ, „ლელოს" შეძენა ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გამომცემლობა „სამშობლოს" (კოსტავას ქ.14) წინ, გამავრცელებელთან.

# XXI საუკუნის პირველი ფალავნობა

7 წლის იძულებითი შესვენების შემდეგ თბილისის სახელმწიფო ცირკში გაიმართა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი და ფალავნობა ქართულ ჭიდაობაში. რაც შეეხება ფალავნობას (აბსოლუტურ პირველობას), გასულ შვიდ წელიწადში ის ექვსჯერ გაიმართა. მხოლოდ შარშან, ახალი საუკუნის პირველ წელიწადს ვერ მოხერხდა მისი ჩატარება.

წლეულს, 19 აპრილს საქართველოს პარლამენტის წევრი გოგი ლიპარტელიანი აირჩიეს რა საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტად, „ქართულის" მოჭიდავეებმა და ქომაგებმა გაიხარეს, რაც მთავარია, დაიწყო შეჯიბრებების ხშირ-ხშირად მოწყობა. საქართველოს ამ ეროვნულ ჩემპიონატს და ფალავნობას წინ უსწრებდა სოფლის გუნდების რეგიონალური, ფინალური, თუ სხვა სახის პირველობები.

საქართველოს ჩემპიონატს მონატრებული 100-ზე მეტი მოჭიდავე ჩაება ასპარეზობაში. ფალავნის სახელის მოპოვებაზე ასპარეზობის სურვილი კი 13-მა მათგანმა გამოთქვა. ესენი იყვნენ 75 კგ-ს ზედა წონითი კატეგორიის სპორტსმენები.

წინათ თბილისში გამართულ ფალავნობას თუ ჩემპიონატებს ჩვენი სოფლებისა და რაიონების მრავალი ჭეშმარიტი ქომაგი ჩამოჰყვებოდა ხოლმე თან. ახლა ეს, სამწუხაროდ, ნაკლებად იგრძნობოდა... საქართველოს ჩემპიონატი საკმაოდ საინტერესო გამოდგა. ასპარეზობაში, რა თქმა უნდა, მონაწილეობდნენ „ჩოხიანი ჭიდაობის" (ქართული, სამბო, ძიუდო) ცნობილი ოსტატები. მათ შორის იყვნენ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები.

ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გადაწყვეტილებით შვიდივე ჩემპიონს და ფალავანს ასევე დიდი ხნის შესვენების შემდეგ მიენიჭათ საქართველოს სპორტის ოსტატის წოდება ქართულ ჭიდაობაში.

პირველად ამოქმედდა ახალი წესიც ისე, როგორც საერთაშორისო ჭიდაობებშია — საჭიდაო წრეში დაწყებულ და წრის გარეთ დასრულებულ ამა თუ იმ ფანდს ამიერიდან ქართულ ჭიდაობაშიც მიეცემა სრულფასოვანი შეფასება.

იყო კიდევ ერთი სიახლეც — პირველად საქართველოს ფალავნისთვის ჩვენს ეროვნულ ზარაფხანაში ფედერაციის პრეზიდენტის შეკვეთით შეიქმნა ჭიდაობის 40 გრამიანი წმინდა ოქროს ორდენი.

სასიამოვნო სიურპრიზი იყო საბერძნეთის მოქალაქის ვასილი ილიადისის მონაწილეობა საქართველოს 2002 წლის ჩემპიონატში, რომელმაც, სხვათა შორის, მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა მძიმეწონოსანთა ტურნირში.

შარშან, ოქტომბერში, პირველად ქართული ჭიდაობის ისტორიაში, უცხოეთში, კერძოდ კი, საბერძნეთში, შეიქმნა ქართული ჭიდაობის ფედერაცია, რომლის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი, ძმები, სოფელ ქვემო ქედში დაბადებული ზურაბ და გრიგორი ილიადისები არიან, როგორც საბერძნეთის სპორტის სამინისტროს თანამშრომელმა გრიგორი ილიადისმა გვიამბრა, საბერძნეთში ოცზე მეტი ქართული ჭიდაობის კლუბი უკვე მოქმედებს, აპირებენ კლუბები კვიპროსშიც გახსნან. საბერძნეთის ფედერაცია მალე საერთაშორისო ტურნირის მოწყობასაც აპირებს ქართულ ჭიდაობაში...

ფალავანთა ფალავნის გამოვლენა ყოველთვის ცხოველ ინტერესს იწვევს.

საქართველოს ფალავნობა წელს მეხუთედ მოიპოვა 28 წლის ახმეტელმა გოლიათმა ალექსი დავითაშვილმა, ის საქართველოს მეოთხე ფალავანია, რომელიც ხუთჯერ აღზევდა ეროვნულ ჭიდაობაში. მანამდე ხუთ-ხუთჯერ ფლობდნენ ფალავნობას ზაქარია ბაკურაძე (ახმეტა), ანზორ კიკნაძე (თბილისი) და მალხაზ ბერუაშვილი (ქარელი).

ქართული ჭიდაობა საოცარი რამაა. ის ავტორიტეტებს არ სცნობს. 2002 წლის ეროვნულ ჩემპიონატში, მაგალითად, მსოფლიოსა და ევროპის თითო ჩემპიონი ეროვნული ჩემპიონატის სამეულში ვერ შევიდნენ და ეს პირველად არ მომხდარა...

...იყო უამრავი საჩუქარი, მათ შორის ზურაბ ზვიადაური (ახმეტა) ლამაზი კისრულის შესრულებისათვის საქართველოს სახალხო არტისტმა „ბაშიაჩუკმა" — ოთარ კობერიძემ დააჯილდოვა ეროვნული აღორძინებისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის სახელით.

ბატონ ოთარს რამდენიმე სიტყვა ვთხოვეთ „ლელოს" მკითხველისათვის: „ჭიდაობა თავისთავად ქართული სიბრძნეა, სადაც, როგორც ამბობენ, ხერხი სჯობია ღონესაო. მაგრამ აქ ხერხიცაა და ღონეც. ეს არის ესთეტიკისა და ძლიერების, თავმდაბლობისა და ჭეშმარიტი ზნეჩვეულებების შენარჩუნების საშუალება. აქ ხომ პატარაობიდან ერთვებიან რაინდულ აღზრდაში.

ამ ბიჭებს რომ ვუყურებ, მიხარია. სათანადოდ ვერ ვეხმარებით და მაინც ჩამოაქვთ მედლები უცხოეთიდან. ჩემი „ბაში-აჩუკური" მრწამსით ვეთაყვანები ქართველ ფალავნებს" — თქვა გამოჩენილმა მსახიობმა.

ქართული ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ შეჯიბრების შემდეგ მადლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო ცირკის ადმინისტრაციას, რომლებმაც ჩვენდა გასაოცრად, უფასოდ დაუთმო ცირკის არენა ქართული ჭიდაობის ოსტატებს. ეს მაგალითი უნდა იყოს ყველასათვის.



აბსოლუტურ პირველობაში ზვიად ჩინჩალაძისა და ალექსი დავითაშვილის (მარჯვნივ) ფინალური ორთაბრძოლის შემდეგ. ფოტოები რობერტ ბაგოიანისა



მ. მაზმიშვილი



მ. სახვაძე



ლ. მარკოზაშვილი



დ. ბოდაველი



ვ. ყუთულაშვილი



ზ. ზვიადაური



ზ. ჩინჩალაძე

### კვარცხლბეკი

საქართველოს 2002 წლის ეროვნული ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში. 23-24 ოქტომბერი, თბილისის სახ. ცირკი. მონაწილეობდა 100-ზე მეტი მოჭიდავე.

*60 კგ:* 1. მამუკა მაზმიშვილი (ქარელი), 2. გელა ბარათაშვილი (ხაშური), 3. დავით მიხელიძე (ლაგოდეხი); *65 კგ:* 1. მამუკა სახვაძე (გორი), 2. დავით უძილაური (თელავი), 3. ილია მჭედლიშვილი (საგარეჯო); *70 კგ:* 1. ლევან მარკოზაშვილი (გორი), 2. ზურაბ დოლონაძე (ქარელი), 3. მინდია ხომიზური (თბილისი); *75 კგ:* 1. დავით ბოდაველი (თბილისი), 2. ილია ქოთოლაშვილი (ქარელი), 3. გურამ ახვლედიანი (მცხეთა); *80 კგ:* 1. ვასილ ყუთულაშვილი (კასპი), 2. საბა გავაშელაშვილი (დედოფლისწყარო), 3. დავით მამუკიშვილი (ყვარელი); *90 კგ:* 1. ზურაბ ზვიადაური (ახმეტა), 2. გელა ბეჭვაია (ქუთაისი), 3. მიხეილ ჩერქეზიშვილი (კასპი); *+ 90 კგ:* 1. ზვიად ჩინჩალაძე (რუსთავი), 2. სოსო პავლიაშვილი (კასპი), 3. ვასილ ილიადისი (საბერძნეთი).

***ფალავნობა***

1. ალექსი დავითაშვილი (ახმეტა), 2. ზვიად ჩინჩალაძე (რუსთავი), 3. რატი ფერაძე (ზესტაფონი).

გაბრიელ ბარჯაძე

წლები და ამაგი

# ეს ის კაცია, ვისაც გიორგი მერკვილაძე განსაკუთრებით ენდობოდა



გ. მერკვილაძე და ა. გიორგობიანი

პიროვნებაზე, რომელსაც თითქმის ნახევარი საუკუნე იცნობ ერთ სფეროში — სპორტში მოღვაწეობით, კაცმა რომ თქვას, საგაზეთო წერილის მომზადება არ უნდა გაუჭირდეს ჟურნალისტს, მაგრამ სწორედ ეს ნაცნობობა აღმოჩნდა შემბოჭველი კალმის ხელში აღებისას. იმდენი რამ იცი, როგორ გინდა მოკლედ ჩამოაყალიბო. არადა, ეს პიროვნება — ალიკო გიორგობიანი ერთ-ერთი იმათთგანია, რომლებიც ათეული წლებია ფეხდაფეხ კი არ მოჰყვებიან, არამედ, წინ მიუძღვიან ქართულ სპორტულ მოძრაობას.

ქართულ სპორტულ სამყაროში ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მოღვაწე გიორგი მერკვილაძე ბავშვთა სპორტში მომუშავე სპეციალისტების მიმართ განსაკუთრებით მომთხოვნი იყო. მიაჩნდა, რომ ამ სფეროში შეცდომის უფლება არავის ჰქონდა. იმათ შორის, ვისაც ეს ბუმბერაზი პიროვნება განსაკუთრებით ენდობოდა, ულალატოდ მიაჩნდა და ყველაზე საპასუხისმგებლო საქმეების მოგვარებას ავალებდა, იყო ალიკო გიორგობიანი.

მაგრამ ვიდრე გიორგი მერკვილაძის თვალთახედვის არეში მოხვდებოდა, ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჯერ საწარმოში იმუშავა, შემდეგ მშობლიურ ინსტიტუტში მიიწვიეს სასწავლო ნაწილის ინსპექტორად. ახალგაზრდა სპეციალისტის უნარ-შესაძლებლობების სრულად გამოვლენის ასპარეზად მაინც 26 კომისრის რაიონი იქცა, სადაც სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ, პარტიის რაიკომის გადაწყვეტილებით, ქარხანა „თბილხელსაწყოს" ინსტრუქტორ-მეთოდისტის თანამდებობიდან გადაიყვანეს.

საბჭოთა ხელისუფლების ეპოქაში ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა და სპორტი მხოლოდ სპორტული ორგანიზაციების იმედად არ იყო მიტოვებული. კომკავშირიც დიდ საქმეს აკეთებდა, უფრო სწორედ, სპორტული და კომკავშირული ორგანიზაციები „ერთ უღელში შებმულნი" ეწეოდნენ წინ ამ საქმეს. სპორტული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები ერთმანეთის ბიურო-პრეზიდიუმის წევრები იყვნენ — წესი იყო ასეთი, ძალიან სასარგებლო წესი! ალიკო გიორგობიანი კომკავშირის რაიკომის ბიუროს წევრიც იყო და მეტიც — დეპუტატია ზემოხსენებულ რაიონში. დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. პარტიის და ხელისუფლების დადგენილებებით შეიარაღებულს, თანაც კომკავშირის ბიუროს წევრს და დეპუტატს, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები ვერაფერში ეწინააღმდეგებოდნენ. იტყოდა — კეთდებოდა! ასე გაჩნდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებში, ცალკეულ ორგანიზაციებში და დაწესებულებებში ფიზკულტურის მეთოდისტები, მასობრივი სპორტი ყველგან მკვიდრდებოდა, გაშენდა სპორტული ობიექტები...

კომუნისტებს ცუდი — ერთი დამახასიათებელი თვისებაც ჰქონდათ — კარგ მუშაკს უთუოდ გადაიყვანდნენ იქ, სადაც ძალიან იყო საჭირო მისი ორგანიზატორული ნიჭი. ალიკო გიორგობიანი ასე აღმოჩნდა 1966 წელს თბილისის განათლების განყოფილებაში ფიზაღზრდისა და სპორტის სექტორის გამგედ. ეს ის პერიოდია, როცა არნახულ აღმავლობას განიცდის ქართული სპორტი და თაობათა მემკვიდრეობითობის მტკიცე საფუძვლების შექმნისთვის ბავშვთა სპორტში ძირეული გარდატეხაა შესატანი. სწორედ ალიკოს მოუხდა ბოლომდე მიეყვანა თბილისში სპორტული სკოლების რეორგანიზაციის საკითხი. კომპლექსურ სკოლებს გამოეყო თამაშები და ცალკე სკოლა გაიხსნა. მერე თამაშების სპორტსკოლიდან იშვა სპეციალიზებული სპორტსკოლები. თანაც, მათ სათავეში ჩაუყენეს ლეგენდარული სპორტსმენები: კალათბურთისას — ოთარ ქორქია, ხელბურთისას — ჯემალ ცერცვაძე, ჩოგბურთისას — თეიმურაზ კაკულია, ფარიკაობისას — ნუგზარ ასათიანი, შეიქმნა აგრეთვე მხატვრული ტანვარჯიშის, აკრობატიკის და ა.შ. ბავშვთა სპორტსკოლები. ნამდვილად ბედნიერი დამთხვევა იყო, როცა ხალხის საკეთილდღეოდ დადგენილებების შესასრულებლად მაღალი რანგის ისეთ სპეციალისტს უხდებოდა საქმეს ბოლომდე მიჰყოლოდა, როგორიც ალიკო გიორგობიანი იყო. ამ კაცს შეუძლია თამამად იამაყოს, რომ სწორედ მისი ხელმძღვანელობის პერიოდში განხორციელდა სასკოლო და სარაიონთაშორისო საცურაო აუზების, ახალი კომპლექსური სპორტული მოედნების მშენებლობა თბილისის სკოლებში, ამას დაუმატეთ დიღმის საჭიდაო კომპლექსი, სადაც დღეს თავად არის ხელმძღვანელი და გლდანში ხელბურთის კომპლექსი...

„26 კომისრის, ოქტომბრის, კალინინის და სხვა რაიონების სპორტსკოლების მოწყობაში უდიდესი დახმარება გაგვიწია პარტიის რაიკომის პირველმა მდივნებმა, განსაკუთრებით კი ვერასოდეს დავივიწყებ გუგული დანელიას და სერგო რიგვავას დამსახურებას" — არაერთხელ უთქვამს ალიკოს.

მთავარი შედეგი ის იყო, რომ იმრავლა სპორტულმა შეჯიბრებებმა, რომლის გვირგვინი — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადები მასობრიობისა და ოსტატობის საზომი იყო. 1967-დან 1991 წლამდე მოსწავლეთა ყველა მნიშვნელოვანმა ასპარეზობამ, როგორც იტყვიან, მის ხელში და მისი უშუალო ხელშეწყობით ჩაიარა. ჯილდოზე და მადლობებზე არასოდეს უფიქრია. თუმცა„ ბევრი მიულია, არც დაუთვლია, მაგრამ ერთს კი განსაკუთრებულად მიიჩნევს, სწორედ იმას, რაც ყველაზე ნათლად ესადაგება მის პროფესიას — „საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება".

ნახევარი საუკუნე ქართული სპორტის სამსახურში — სიჯანსაღის, თაობათა ჰარმონიული აღზრდის მუხლჩაუხრელ სამსახურში გაილია. შეხედავ და ვერასგზით ვერ დაიჯერებ, რომ უკვე 70 წლისა გამხდარა — ისევ მხნედ, ჩვეული მტკიცე ნაბიჯით და ხალისით დააბიჯებს ჩვენს შორის...

თ. თომაშვილი



ა. გიორგობიანს ხშირად უწევს ასეთი საპატიო მისიის შესრულება...



# ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

26 ოქტომბერი. თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი
**საქართველო – ფარერები 2-0**
**(19-წლამდელთა ნაკრებები)**
***საქართველო:*** ნაფეტვარიძე, კაშია, იმედაშვილი, ლ. ჭელიძე, ექონია, მჭედლიძე (გრიგორიევი 46), დარსანია (კაჭარავა 71), ელიავა (წილოსანი 85), ბურნაძე, გ. ჭელიძე, მოდებაძე.
***ფარერები:*** ნილსენი, ჯურჰოუსი, კრისტიანსენი, ნოლსო, ტორლეიფსონი, სამუელსენი, იესპერსენი, პეტერსენი, იორგენსენი (მიდჯორდი 82), ჰანსენი, სკორალიდი (პ. სამუელსენი 56).
*გოლები:* 1-0 მოდებაძე (62), 2-0 გრიგორიევი (83).
*გააძევეს:* ნოლსო (84).
*მსაჯი:* ს. ჯონსი (უელსი).

## გაავედით...

თამაშზე შეკრებილი გულშემატკივრები დიდი თავგამოდებით ქომაგობდნენ მასპინძელთა ნაკრებს.

მატჩი დაიწყო ქართველთა უპირატესობით. მე-10 წუთზე დაინიშნა პირველი კუთხური, რომელიც ელიავამ ჩააწოდა, მაგრამ ფარერელთა მცველებმა ზუსტად ითამაშეს. პირველ ტაიმში რამდენიმე კარგი შანსი გაუშვეს ხელიდან მასპინძლებმა. ძირითადად გამოუყენებელ ჯარიმებს ვგულისხმობთ. ჩვენების თავდასხმას აშკარად დაეტყო, რომ წინა მატჩების ერთ-ერთი აქტიური ფეხბურთელი სანდრო იაშვილი ამ მატჩში არ თამაშობდა. წინა ორ მატჩში მან თითო ყვითელი ბარათი მიიღო და თავისიანებიდან გამოკლების მიზეზიც ეს გახდა.

მთელ ტურნირში მეორე ტაიმში უკეთესად თამაშობდნენ ჩვენები და ამჯერადაც დაამტკიცეს, რომ ამ „ტაქტიკას" გუნდი სასურველ შედეგამდე მიჰყავს. მოკლედ, იყო აქტიურობა, ტემპიანი შეტევები! რასაც მოდებაძის კარგი თამაშის შემდეგ მხოლოდ 62-ე წუთზე მოჰყვა გოლი. სტუმრები კი მარცხს მას შემდეგ შეურიგდნენ, რაც გრიგორიევმა 83-ე წუთზე ანგარიში ორამდე გაზარდა. შემდეგ მათი მხრიდან უხეშობამ იჩინა თავი. 84-ე წუთზე მსაჯმა ფარერელთა ფეხბურთელი ნოლსო სწორედ უხეშობისთვის გააძევა. ამ მატჩის შედეგით ჩვენი ნაკრები კი ასპარეზობის შემდეგ ეტაპზე გავიდა.

**ლ. ჯანკოტაძე**


გამარჯვების სიხარული...

## იღბალი თუ კანონზომიერება?!

„შემდგომ ეტაპზე გასვლა ოთხივე გუნდს შეეძლო. არც ბელგიის, არც საქართველოს ნაკრები, არაფრით გვჯობდა, მათ, უბრალოდ, ჩვენზე მეტად გაუმართლათ" — გულდაწყვეტით გვითხრა ჟურნალისტებს უკრაინელთა თავკაცმა ანატოლი კროშენკომ, რომელსაც მატჩის დღეს 65 წელი შეუსრულდა.

ასე თუ ისე, ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპი ქართველებმა და ბელგიელებმა გადალახეს. ურთიერთშეხვედრებში ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით. არადა, სლავები ძალიან ახლოს იყვნენ საერთო ჯამში გამარჯვებასთან, მაგრამ... თამაში დაიწყო თუ არა, უკრაინელებმა რამდენიმე მწვავე შეტევა განახორციელეს, რასაც ბოლოს პენალტიც მოჰყვა და კრივოშეენკომ იგი გოლად აქცია. სწრაფმა გოლმა სლავები არ დაამშვიდა, პირიქით, ბელგიელთა საჯარიმოს ალყა კიდევ უფრო გამძაფრდა, რაც ნესინის ლამაზი გოლით დასრულდა. უკრაინელთა უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა, მეორე ტაიმში ბელგიელთა ასეთ გახელებას. მარკ გერსონის შეგირდებს უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ. უკრაინელები კი ორბურთიანმა უპირატესობამ დროზე ადრე მოადუნა. მათ იერიშებს სიმწვავე მოაკლდა, ბელგიელებს კი ერთი გოლი ჰაერივით სჭირდებოდათ, რომელიც თამაშის მიწურულს გაიტანეს კიდეც. ეს ადრეც შეეძლოთ, მაგრამ კაპიტანმა მარტენსმა პენალტი ვერ გამოიყენა. ბელგიელის დარტყმული ბურთი უკრაინელთა მეკარემ პიატოვმა ჩინებული ნახტომით მოიგერია. თუმცა ბოლოს, წაგების მიუხედავად, ბელგიელებმა მაინც გაიხარეს და მატჩი სასურველი ანგარიშით დაასრულეს.

26 ოქტომბერი. თბილისი. გრიგოლ ... სტადიონი.
**ბელგია – უკრაინა 1-2**
**(19 წლამდელთა ნაკრებები)**
***ბელგია:*** ვერბაუდე, მონტინი, ვერბისტი, დენონსინი, კოველიერსი (ბერნარი 46), მარტენსი, ვანდენდრისე (დე ლანჟე 57), ვუიტენსი, გომესი, ტორნო, ფერნანდესი.
***უკრაინა:*** პიატოვი, პეტრივსკი, ვლაევი (ალიევი 46), გრუდნენკო, ობერემკო, კარამუშკა, კრივოშეენკო, ნესინი, გორბკოვი (ვორობეი 46), პიდგაინი, ბროვკინი (ადლიება 86).
*გოლები:* 0-1 კრივოშეენკო (7 პ), 0-2 ნესინი (37), 1-2 დენონსინი (83).
77-ე წუთზე პენალტი ვერ გამოიყენა მარტენსმა.
*გააფრთხილეს:* ვერბისტი, ტორნო, კარამუშკა, ბროვკინი.
*მსაჯები:* მ. ვაინერი (გერმანია), ლ. სილაგავა, მ. ელიკაშვილი, ლ. ფანიაშვილი (ყველა — საქართველო).
*უეფას დელეგატი:* მ. ვოტრო (საფრანგეთი).

**VIII ჯგუფის საბოლოო ცხრილი.**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **საქართველო** | 3 | 2 | 0 | 1 | 4-1 | 6 |
| **ბელგია** | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| **უკრაინა** | 3 | 2 | 0 | 1 | 8-3 | 6 |
| **ფარერები** | 3 | 0 | 0 | 3 | 0-10 | 0 |

თერთმეტი შესარჩევი ჯგუფიდან ასპარეზობა შვიდ ჯგუფში დასრულდა. შემდგომ ეტაპზე **საქართველოსა და ბელგიის ნაკრებ გუნდებთან ერთად გავიდნენ: იტალია, სლოვაკეთი, გერმანია, ისრაელი, საფრანგეთი, რუსეთი, პოლონეთი, შვედეთი, ჰოლანდია, თურქეთი, დანია და შვეიცარია.**

მომავალი წლის მაისამდე 28 ნაკრები (პირველი ეტაპის 22 გამარჯვებული და რეიტინგით 6 საუკეთესო) 7 ოთხგუნდიან ჯგუფებში მეორე ეტაპის საუკეთესო შვიდ ნაკრებს გამოავლენს, ისინი მასპინძელ ნაკრებთან ერთად ფინალურ ეტაპზე იასპარეზებენ.

**საბა ლომინაძე**

## ანონსი

ფიფასა და უეფას მოთხოვნებისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის V ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად, შემუშავდა სფფ-ს ახალი წესდების პროექტი, რომლის სრულ ტექსტს მკითხველს და ეროვნულ ჩემპიონატში (უმაღლესი, პირველი და რეგიონული ლიგები) მონაწილე კლუბების ხელმძღვანელებს გაზეთის შემდეგ ნომერში შევთავაზებთ.

წესდების პროექტი შემუშავებულია ფიფას ნაციონალური ასოციაციების ხელმძღვანელის ვინსენტ მონიეს და უეფას საფეხბურთო კლუბების ლიცენზირების ხელმძღვანელის მარსელ ბენცის უშუალო მონაწილეობით. და მოწონებულია ფიფას მიერ. სფფ-ს სუბიექტებს ვთხოვთ, პროექტის გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში სფფ-ში წარმოადგინონ შენიშვნები და წინადადებები.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გაბედნიერებას ულოცავს ზაზა მენთეშაშვილს და ნათია ოდიკაძეს.

## თბილისის „ლოკომოტივში" პერუელი ფორვარდები ითამაშებენ

როგორც ცნობილი გახდა, თბილისის „ლოკომოტივის" შემადგენლობაში ორი პერუელი ფორვარდი ითამაშებს: 17 წლის დიეგო გონსალესი და 26 წლის რაფიელ გალიარდო. მათ უკვე ივარჯიშეს რკინიგზელთა გუნდის შემადგენლობაში.

ამ ფეხბურთელების „ლოკომოტივში" მოწვევა გუნდის მთავარი მწვრთნელის ლუის ცაკარიასის ინიციატივა იყო. აქამდე გონსალესი და გალიარდო შესაბამისად „ალიანსის (ლიმა) და „დეპორტივოს" (ვანკა) ღირსებას იცავდნენ. ორივე მათგანი პერუს იუნიორ და ახალგაზრდული ნაკრებების წევრები არიან.

## უმაღლესი ლიგა
## XIII ტურის სტატისტიკა

27 ოქტომბერი. გურჯაანი. ცენტრალური სტადიონი. 1000 მაყურებელი.
**მილანი – ვიტ ჯორჯია 0-2**
***მილანი:*** მამალაძე, ტარუღაშვილი, ჯაბუა, აკობია, მ. სამხარაძე (გ. ლამბაშიძე 68), მეტონიძე, ჯაფარიძე, ვართაგავა, ვარამაშვილი (დანელია 65), ღუღუნაძე, შელეგია (ჭალიაშვილი 72).
***ვიტ ჯორჯია:*** მერლანი, თ. კობიაშვილი, ლ. მერებაშვილი, ინწკირველი, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, დოლიძე, გველესიანი (ფეიქრიშვილი 85), ყიფიანი (ბოლქვაძე 64), ადამია, მელქაძე (ე. მერებაშვილი 78).
*გოლები:* 0-1 მელქაძე (40), 0-2 კობიაშვილი (55).
*გააფრთხილეს:* ლ. ნოზაძე (32).
*მსაჯები:* ა. შილაკაძე (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ი. შალამბერიძე (თბილისი), ზ. ანიაშვილი (გორი).

27 ოქტომბერი. ბათუმი. ცენტრალური სტადიონი. 1500 მაყურებელი.
**დინამო (ბათ) – გორდა 1-2**
***დინამო:*** ტოგონიძე, კობიძე, თურმანიძე, მინდაძე, ხუჯაძე, ქაცარავა, რომანაძე, დარჩიძე, მაჭუტაძე, ტუღუში, გ. მოდებაძე (ბეჟანიძე 78).
***გორდა:*** ჩლაიძე, არსოშვილი (ზაზაშვილი 69), პაპაშვილი, ბერიძე, ზვ. ლაბაძე, კ. ალადაშვილი (შიოშვილი 89), ზ. ლაბაძე, თავბერიძე, ჯელაძე, ლ. სილაგაძე, სოხაძე (ლ. ალადაშვილი 62).
*გოლები:* 0-1 სოხაძე (62), 0-2 ლ. ალადაშვილი (63), 1-2 დარჩიძე (65).
*გააფრთხილეს:* ზვ. ლაბაძე (72), კ. ალადაშვილი (73), მაჭუტაძე (85).
*გააძევეს:* რომანაძე (36), ზ. ლაბაძე (36).
*მსაჯები:* ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), მ. ურუშაძე (თბილისი), კ. თბილელი (თბილისი), ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა).

27 ოქტომბერი. თბილისი. სტადიონი „სინათლე".
**მერანი – ტორპედო 1-1**
***მერანი:*** ნაჭყეპია, ადუაშვილი, გუჯაბიძე, ჭინჭარაული, დევიძე, რევაზიშვილი, მესხი, ი. შენგელია (ბ. ნოზაძე 85), კოშკაძე, ჩილვინიძე (ქადაგიძე 88), ფირცხალაიშვილი (გაბელია 67).
***ტორპედო:*** სტურუა, აკოფიანი (ჩომახიძე 55), ხვადაგიანი, დიდავა, მახვილაძე, კვეტენაძე, ქემოკლიძე, ბაბუნაშვილი, იონანიძე, პოროშინი, ასათიანი.
*გოლები:* 1-0 ფირცხალაიშვილი (38), 1-1 იონანიძე (82).
*გააფრთხილეს:* ნაჭყეპია (57), ჩილვინიძე (66), იონანიძე (90).
*გააძევეს:* ნაჭყეპია (67), პოროშინი (67).
*მსაჯები:* მ. მალალურაძე (თბილისი), ლ. მიქელაძე, ლ. სილაგავა, მ. მაისურაძე (ყველა — თბილისი).

27 ოქტომბერი. ბოლნისი. თ. სტეფანიას სახელობის სტადიონი.
**დილა – სიონი 1-1**
***დილა:*** სოლოლაშვილი, გ. ჩიტაია (მ. ძოძუაშვილი 62), ხაჭაპურიძე, ლომიძე (ბ. ჩიტაია 75), რევაზიშვილი (საყვარელიძე 46), დავითნიძე, ფეზუაშვილი, სულთანიშვილი, ხორგუაშვილი, ჯობაძე, ლ. გოჩაშვილი.
***სიონი:*** ვოლკოვი, სიდამონიძე, ორემაშვილი, ცქიფურიშვილი, ჩხაიძე, ბაქრაძე, გაბისკირია (გ. ქორიძე 83), შავგულიძე, დაუშვილი (ხუჭუა 72), ისიანი (კვეკვესკირი 35), დ. გოდერძიშვილი.
*გოლები:* 0-1 შავგულიძე (58), 1-1 ძოძუაშვილი (80).
*გააფრთხილეს:* დავითნიძე (57).
*მსაჯები:* გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი), კ. გაბრიაძე (ქუთაისი), მ. ელიკაშვილი (თბილისი), ა. შალამბერიძე (ქუთაისი).

**ბომბარდირი**
იონანიძე — 9 (ტორპედო).

**გუშინ**
**კოლხეთი 1913 — დინამო (თბ) 0-5**
**მეტალურგი — ლოკომოტივი 0-4**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დინამო (თბ)** | 12 | 11 | 1 | 0 | 34-2 | 34 |
| **ტორპედო** | 13 | 9 | 2 | 2 | 27-9 | 29 |
| **ვიტ ჯორჯია** | 13 | 9 | 1 | 3 | 21-8 | 28 |
| **ლოკომოტ.** | 12 | 8 | 1 | 3 | 21-7 | 25 |
| **სიონი** | 13 | 6 | 2 | 5 | 18-17 | 20 |
| **კოლხ. 1913** | 13 | 5 | 2 | 6 | 13-19 | 17 |
| **მეტალურგი** | 13 | 4 | 1 | 8 | 7-26 | 13 |
| **მილანი** | 13 | 3 | 3 | 7 | 7-19 | 12 |
| **მერანი** | 13 | 3 | 3 | 7 | 13-25 | 12 |
| **გორდა** | 13 | 3 | 0 | 10 | 9-23 | 9 |
| **დილა** | 13 | 2 | 3 | 8 | 9-19 | 9 |
| **დინამო (ბთ)** | 13 | 1 | 5 | 7 | 7-16 | 8 |

## საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## პირველი ლიგა, IX ტური

*გუშინ*
ლოკომოტივი (სამტრ) — გურია 0-0
სამგურალი — ცხინვალი 1-0
ივერია — ჭაბ. ნაკრ. 0-0
კოლხეთი (ხ) — თსუ 0-0

*დღეს*
მცხეთა — ლაზიკა
ლოკომოტივი2 — ლოკო (გადაიდო)
დინამო 2 — ალაზანი-მერანი
მერცხალი — ქობულეთი

**III ტურის გადატანილი მატჩი**
ლოკომოტივი 2 — მცხეთა 2-1

## საქართველოს თასი



კოლხეთი2 — სქური 5-1
მეშახტე — ჩიხურა 3-3 (2-4 პ)
ვიტ ჯორჯია2 — ყაზბეგი 2-0
ნორჩი დინამო — ჰერეთი 4-0

## რეგიონული ლიგა

ცენტრალური ზონა
ვაკე — თორი 1-0
ცხუმი — ოლიმპი 1-1

აღმოსავლეთი ზონა
დინამო 3 (თბ) — დინამო (სოხ) 3-0





ინგლისური „ჩელსიდან" შინ დაბრუნებულმა რატი ალექსიძემ თბილისის „დინამოსთან" კონტრაქტი 2004 წლამდე გააფორმა.
*სურათზე: ფეხბურთელის კლუბში წარდგენის ცერემონია. რატი და „დინამოს" აღმასრულებელი დირექტორი გია ფირცხალავა მოთამაშის მაისურის წარდგენისას.*

## ? შეკითხვა:

**ამას წინათ, ერთ-ერთი გაზეთის კროსვორდის პასუხებში ამოვიკითხე გვარი ქარქაშაძე, რომელსაც თბილისის „დინამოში" უთამაშია. თუ შეგიძლიათ მიპასუხეთ სწორია თუ არა ეს ფაქტი და თუ მართალია, რომელ წლებში თამაშობდა, რა ჰქვია?**

*ლევან ქარქაშაძე*
*თბილისი, 15 წლის*

**პასუხი:** დიახ, ასეთი ფეხბურთელი მართლა თამაშობდა თბილისის „დინამოში". მისი სახელია — ბადრი. ბადრი ქარქაშაძემ თბილისის „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში თითო მატჩი ჩაატარა 1969-71 წლებში. დაბადებულია 1949 წელს, ცხოვრობს თბილისში, მუშაობს ფეხბურთის ფედერაციაში.

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №7 (28) ოქტომბერი, 2002 წელი


# 18-20 ოქტომბერს ქართულმა კარატემ კიდევ ერთი დიდი გამარჯვება იზეიმა



ქართულმა კარატემ კიდევ ერთი დიდი გამარჯვება იზეიმა. ამ ჯერად, გერმანიის ქალაქ სტრალსედში 18-20 ოქტომბერს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ისახელეს თავი ქართველმა კარატისტებმა. მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზაციაში იყო მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაცია, მისი შეფ-ინსტრუქტორი, მე-8 დანის მფლობელი, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, სიცოცხლეშივე ლეგენდარული ოსტატი ჰიტოში კასუია.

გერმანიის ამ მსოფლიო ჩემპიონატს თავისი მნიშვნელობით კარატეს მსოფლიოჩემპიონატებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დაეს ოდაოცაა, მისი ორგანიზატორი ხომ ცოცხალი ლეგენდაა, რომელიც თავად ესტუმრა სტრალსუდს. შეჯიბრისანახაობრივადაც განსხვავებული იყო თავისი მძაფრი, ამავე დროს კლასიკური და ლამაზი ორთაბრძოლებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ კარატისტებში ახალი გვარსახელები გამოჩნდა, რომლებმაც თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების, შეიძლება ითქვას, მინიმუმი ამ გრანდიოზულ, უაღრესად დიდ დაპოპულარულ მსოფლიო ჩემპიონატზე გამოავლინეს. ამ დასხვა მიღწევების შემდეგ შეიზლება ითქვას კიდევ ერთხელ და უფრო თამამად, რომ ქართული კარატე იმ დიდების მწვერვალისკენ მიდის, რომლისკენაც ყველა ისწრაფის, მაგრამ ბევრისთვის ეს მხოლოდ ოცნებად რჩება, თუმცა ერთ დროს, ქართველებისთვისაც მხოლოდ ოცნების საგანს წარმოადგენდა. ქართველი კარატისტების ამ ოცნებას ფრთა-ხორცი საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ შეასხა, თუმცა ეს ამბავი ბევრს აღიზიანებს... რატომღაც... ეროვნულმა ფედერაციამ ოცნების რეალობად გადაქცევის გარდა საქართველოს მომავალს უამრავი სიკეთე, ჯანმრთელობა და რაც მთავარია, სულიერი მდგრადობა მოუტანა. ახლა კი ისევ მთავარს - მსოფლიო ჩემპიონატს დავუბრუნდეთ.

მსოფლიო ჩემპიონატში 42 ქვეყანა მონაწილეობდა. საქართველოს სპორტული დელეგაცია 25 კაცისგან შედგებოდა. საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ნაკრების წარმატებები შეჯიბრის პირველივე დღიდან დაიწყო, რომელიც ინდივიდუალარ კუმიტეში პირველი ადგილით დაგვირგვინდა. ამ პირველი გამარჯვების ავტორი იუზა შენგელიაა, რომელიც გუნდის დანარჩენი წევრებისთვის დიდი სტიმული აღმოჩნდა. აღსანიშნავის, რომ 42 ქვეყანაში საქართველოს ნაკრები ერთ-ერთი სერიოზული, ანგარიშგასაწევი ძალა იყო, რამაც ამჯერადაც გაამართლა - საერთო ჯამში 12 მედალი მოიპოვა საქართველოს ნაკრებმა. თითო ოქროს მედალი გიორგი კოხრეიძეს და ვეფხია ძაძამიას ეკუთვნით და არც გასული წლის თბილისის ევროპის ჩემპიონატის ჩემპიონებმა და პრიზიორებმა გვიმტყუნეს და ამჯერად დასაპრიზო ადგილები დაიკავეს - რამაზ ცახვაძემ, ლევან გორელაშვილმა, კობა ცერცვაძემ, ზაზა ბურჯანაძემ, დავით აბრამიშვილმა და დავით ტყებუჩავამ. კატაშიც ჩვენებმა იმარჯვეს, დავით ჭელიძის, ბექა კუხიანიძის და გიორგი კოხრეიძისგან შემდგარმა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა.




**გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ნაკრების გენერალური სპონსორია უშიშროების სამსახური**

**„დედა"**











# საქართველოს ღია პირველობა კარატე-დოში

წელს ქართველმა კარატისტებმა თბილისობა ორდღიანი საქართველოს ღია პირველობით აღნიშნეს, რომელიც კარატე-დოში გაიმართა სპორტკომპლექს "ქარიშხალაში". 26-27 ოქტომბერს გამართულ ჩემპიონატში საქართველოს გარდა აზერბაიჯანისა და სომხეთის კარატისტებიც იბრძოდნენ. საქართველოს პირველობაში ყველა ძირითადი კარატეს ფედერაციები მონაწილეობდნენ: შოტოკანი, გოჯურიუ, ვადო-რიუ და კიოკუშინკაი. შეჯიბრის მონაწილეებმა 350-ზე მეტი შეადგინა, რამაც მრავალფეროვანი და სანახაობრივად საინტერესო გახადა. საქართველოს პირველობა სპორტის დეპარტამენტის ეგიდით გაიმართა, ხოლო ძირითადი ორგანიზატორები საქართველოს ოკინავური გოჯურიუ კარატე-დოს საერთაშორისო ფედერაცია (პრეზიდენტი პაატა ჭელიძე) და საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი კახა ბასილია) იყო.



შეჯიბრს უცხოელი სტუმრებიც ამშვენებდნენ, მათ შორის საქართველოს აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსების წარმომადგენლები, კონსულები და ელჩები, რომლებმაც გამარჯვებულები და პრიზიორები დააჯილდოვეს. შეჯიბრს თავისი სანახაობრიობიდან გამომდინარე დიდი ინტერესი თავის საყვარელ საქმეს, პროფესიონა-

ლურად ემსახურებოდა ინგლისის კონსული საქართველოში ბატონი პიტერ ფორდი. სხვათაშორის ბატონ პიტერ ფორდს უამრავი გამოფენები აქვს მოწყობილი თავისი ფოტოების, მათ შორის ერთ-ერთი სულ ახლახანს თბილისში ქარვასლის საგამოფენო დარბაზში მოაწყო. შეჯიბრს ასევე ესწრებოდნენ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი გიორგი ბარამიძე და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი.

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, მედლებით და ფასიანი საჩუქრებით. დაწესებული იყო ჯილდოები საუკეთესო ტექნიკისმქონე სპორტსმენისთვის, საუკეთესო გუნდისთვის და ყველაზე შემართებული მებრძოლისთვის. ჩემპიონატის დასადია დაენიშნა, რომელსაც მიიღებენ შემდეგ შეჯიბრამდე.







შეჯიბრის დამთავრების შემდეგ კარატეს მესვეურებმა საქართველოს ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე-დოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, პაატა ჭელიძემ საქართველოს სტუდენტური კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტმა, თემურ ჯორჯაძემ და საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ საკონფერენციო დარბაზში გადაინაცვლეს. მათ კიდევ ერთხელ განიხილეს შეჯიბრი, გააანალიზეს და დადებითად შეაფასეს. ასევე ისაუბრეს კარატეს შემდგომ განვითარებაზე და მის ქართულ რესურსებზე. საუბარი განახლდა კარატეს ფედერაციების, ყველა მიმდინარეობის ერთ ფედერაციაში გაერთიანებაზე. ერთ-ერთი ძირითადი თემა მსაჯების მაღალ დონეზე მომზადება და მათი კოლეგიის ჩამოყალიბება იყო. ყოველივე ზემოთ ხსენებულს კი საკმაო თანხები სჭიდება, რომლის შესაძლო მოზიდვაზე გაამახვილეს ყურადღება და სამომავლო გეგმებიც დასახეს.



რაც შეეხება ფედერაციის მომავალ გეგმებს: დაიგეგმა ერთი მთლიანი, კარატეს ეროვნული ნაკრების შექმნა, რათა უკეთესი შედეგები იქნას მიღებული საერთაშორისო ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებზე.

"ძალა ერთობაშიაო" - ნათქვამია და მართალიც არის, სწორედ ამიტომაც დიდებულად ჩატარდა საქართველოს ღია პირველობა. ასევე იქნება შემდგომი ერთობლივი მუშაობით, უფრო მეტ შედეგს მოიტანს ქართული კარატესთვის, ანუ საქართველო-



სრულს ორგანიზატორებმა კიდევ ერთი სიურპრიზი გაუკეთეს სპორტსმენებს - რამდენიმე საუკეთესო, გამარჯვებულ კარატისტს ყოველთვიური სტიპენ-





**საქართველოს**
**ღია ჩემპიონატის შედეგები**

**ინდივიდუალური**
**კუმიტე (ვაჟები) WKO**

**8-9 წელი**

| | |
|---|---|
| I ლაშა ჯანგავაძე | შოტოკანი |
| II ჰაბილ საფაროვი | აზერბაიჯანი |
| III შაქრო სამსონიძე | შოტოკანი |
| III რავილ მამედოვი | აზერბაიჯანი |

**10-11 წელი**

| | |
|---|---|
| I გიორგი ლოხიშვილი | შოტოკანი |
| II გიორგი ლაშხი | გოჯუ-რიუ |
| III სერგეი ოგანესიანი | სომხეთი |
| III თენგიზ კვერცხიშვილი | შოტოკანი |

**12-13 წელი**

| | |
|---|---|
| I ზურა აბულაძე | გოჯუ-რიუ |
| II ჰაბუკა გაგნიძე | შოტოკანი |
| III კარენ თუმანოვი | სომხეთი |
| III გიორგი გვარამაძე | შოტოკანი |

**14-15 წელი**

| | |
|---|---|
| I დავით ტყებუჩავა | შოტოკანი |
| II მუშვიგ გასიმოვი | აზერბაიჯანი |
| III გიორგი მიქელაძე | შიტო-რიუ |
| III სლავა სარქისიანი | შიტო-რიუ |

**16-17 წელი**

| | |
|---|---|
| I ჯუმბერ ჯოჯუა | შოტოკანი |
| II არდაკ მიქაელიანი | სომხეთი |
| III ვახტანგ ენდელაძე | გოჯუ-რიუ |
| III ავთო ხოზრევანიძე | გოჯუ-რიუ |

**ინდივიდუალური**
**კუმიტე ვაჟები (WKO)**

**65 კგ**

| | |
|---|---|
| I პაიკ აბოიანი | სომხეთი |
| II ავთო ადეიშვილი | შოტოკანი |
| III ირაკლი ტყებუჩავა | შოტოკანი |
| III ბესიკ ტურაშვილი | გოჯუ-რიუ |

**75 კგ**

| | |
|---|---|
| I გოგიტა არქანია | შოტოკანი |
| II როვშან ბეხბუდოვი | აზერბაიჯანი |
| III გენადი ხანიანი | შიტო-რიუ |
| III აჩიკო თაბუკაშვილი | შიტო-რიუ |

**-80 კგ**

| | |
|---|---|
| I ლევან ასათიანი | შიტო-რიუ |
| II რაშიდ ყურბანოვი | აზერბაიჯანი |
| III გნელ ოგანესიანი | სომხეთი |

**+80 კგ**

| | |
|---|---|
| I გულად თხილაშვილი | გოჯუ-რიუ |
| II საიავუშ ბაირამოვი | აზერბაიჯანი |
| III რასულ მამედოვი | აზერბაიჯანი |

**ინდივიდუალური**
**კუმიტე (გოგონები)**
**WKO**

**10-11 წლები**

| | |
|---|---|
| I ნინო პატაშური | შოტოკანი |
| II ანა თავაძე | შოტოკანი |
| III მზექალა ფიცხელაური | გოჯუ-რიუ |
| III სალომე მახათაძე | გოჯუ-რიუ |

**13-14 წლები**

| | |
|---|---|
| I ქეთინო გოგბერაშვილი | შოტოკანი |
| II ნინო ჯოჯუა | შოტოკანი |
| III ეთერ გავაშვილი | შოტოკანი |
| III ყანა ჭუბაბრია | შოტოკანი |

**18 წელი და ზევით**

| | |
|---|---|
| I კარენ კაზაზაშიანი | შოტოკანი |
| II ქეთინო გულუაშვილი | შოტოკანი |
| III ლალი ახვლედიანი | შიტო-რიუ |
| III ფირდანა შუკიროვა | აზერბაიჯანი |

**ინდივიდუალური კატა ვაჟები**

**-10 წელი**

I გიორგი ლოხიშვილი
II ლაშა ჯანგავაძე
III გიორგი ჯიბლაძე

**10-13 წლები**

I თენგიზ კვერცხიშვილი
II მაგერ პგანესიანი
III გიორგი ლაშხი

**-18 წელი**

I ნუგზარ კაკულია
II დავით აბრამიშვილი
III გიორგი ლაპიაშვილი

**+18 წელი**

I ლევან როგავა
II ჭაბუკა მახარაძე
III ბესიკ ყურაშვილი
III დავით აბრამიშვილი

**14 წელი**

**ინდივიდუალური**
**კატა გოგონათა შორის**

I ქეთინო გოგბერაშვილი
II ანა თავაძე
III ყანა ჭუბაბრია

**-17 წელი**

I ეთერ გავაშელი
II მაია ჩიოტაშვილი
III ნინო ჯოჯუა


# უშიშროების სამსახური „დელტა"



## პრეზიდენტი კახა ბასილია

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი, პოლკოვნიკი;
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი;
მსოფლიოს სამხედრო ორთაბრძოლების აკადემიის აკადემიკოსი;
კავკასიის კაზაკთა კავშირის ატამანის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი;
მსოფლიოს ჩემპიონი კარატე-დოში;
წლების განმავლობაში მუშაობდა სახელმწიფოს პირველი პირების, ბიზნესმენების, პოლიტიკოსების პირად დაცვაში საქართველოსა და უცხოეთში;
მონაწილეობდა ცხელ წერტილებში სპეციალური ოპერაციების განხორციელე-ბაში;
დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით და მედლით მხედრული მამაცობისთვის;
მიღებული აქვს ეკონომისტის და იურისტის განათლება.

## პროფესიონალთა მომზადების სპეციალური სკოლა



სკოლა „დელტა" ახორციელებს კერძო მცველის მომზადებას და გასცემს საერთაშორისო დიპლომს;

სწავლება სკოლაში ხორციელდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, რომელთაც გააჩნიათ ძალოვან სტრუქტურებში მუშაობის დიდი გამოცდილება.

შეისწავლება შემდეგი საგნები:
_ სამართალი;
_ სპეციალური მომზადება;
_ ტექნიკური მომზადება;
_ საცეცხლე მომზადება;
_ ფიზიკური მომზადება;
_ ხელჩართული ბრძოლა;
_ ფსიქოლოგიური მომზადება;
_ სამედიცინო მომზადება;
_ უცხო ენა;
_ ჩვენთან შეგიძლიათ გაიაროთ 4 და 6 კვირიანი სპეც-კურსები.

სწავლა მიმდინარეობს როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად.

სწავლა ფასიანია

სწავლის საფასური შედგება კურსის მომზადების დონიდან გამომდინარე, 200 ლარიდან ზევით.

## უშიშროების სამსახურის „დელტას" მომსახურება

უშიშროების სამსახური „დელტა" გთავაზობთ შემდეგი შემდეგი სახის დაცვას: კომპანიების ხელმძღვანელების პირადი დაცვა, ბანკების, ორგანიზაციების, საწარმოების ბიზნესმენების და მათი ოჯახის წევრების დაცვა.

ოფისების ობიექტების, ბანკების, სასაწყობო შენობების, მშენებარე ობიექტების, გასართობი კომპლექსების, ქალაქგარე სახლებისა და ობიექტების დაცვა. უშიშროების კომპლექსური მეთოდების დამუშავებით (ბანკების, სახლების, წარმოებების და ა.შ.).

**გამოიყენება სამსახურეობრივი ძაღლები**

მასიური ღონისძიებების, კონცერტების, პრეზენტაციების დაცვა;
ტვირთების გაცილება;
ბანკებისა და სავალუტო პუნქტების დაცვა;
ფიზიკური პირების დაცვა;

*ჩვენი მისამართია: ქალაქი თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. № 6*
*ტელ/ფაქსი: 96-31-89*

დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს;
ოჯახის წევრების ევაკუაცია;
კონფლიქტების განმუხტვა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით;
კომპანიის ხელმძღვანელობის და მისი ოჯახის დაცვა;
კომპანიის ხელმძღვანელების სამგზავრო მარშრუტების დამუშავება უსაფრთხოების მიზნით;
ოპერატიული რეაგირება კლიენტის თხოვნისას და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა, როდესაც კლიენტს პრობლემები აქვს არაფორმალურ დაჯგუფებასთან, ამასთანავე სწრაფი რეაგირების ჯგუფის გასვლა შემთხვევის ადგილზე დღე-ღამის განმავლობაში.


მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „მილანი“ დაიღალა?



ლაციო – რომა

**შაბათ-კვირას გაიმართა ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები. ბევრი შეხვედრის შედეგმა ფეხბურთის მოყვარულები გააოცა, განსაკუთრებით სენსაციური ანგარიშები დაფიქსირდა ევროპის გრანდების მონაწილეობით გამართულ მატჩებში.**

ყველასათვის მოულოდნელად, **იტალიის სერია „ა“-ს** მეექვსე ტურში დამარცხდა „მილანი“. კახი კალაძე და მისმა თანაგუნდელებმა სტუმრად წააგეს „კიევოსთან“. ანგარიში 22-ე წუთზე მასპინძლებმა გახსნეს (თავი გამოიჩინა მარაცინამ), მეორე ტაიმის დასაწყისში ბირჰოფმა მეორე გოლი გაიტანა „მილანის“ კარში. ათ წუთში ტრავმამოშუშებულმა შევჩენკომ მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა და სტუმრებს წარმატების იმედი მიეცათ, მაგრამ კოსატომ 84-ე წუთზე მესამედ აიღო დიდას კარი, რასაც ტომასონის საპასუხო გოლი მოჰყვა. „კიევომ“ გაიმარჯვა 3-2. როგორც ჩანს, „მილანი“ ორ ფრონტზე მძიმე ბრძოლით გადაიღალა.

ამ მატჩში „მილანის“ შემადგენლობა ასეთი იყო: დიდა, შიმიჩი (ჰელვეგი), ნესტა, მალდინი, კალაძე (ტომასონი), გატუზო (სერჟინიო), პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა, შევჩენკო, ინძაგი.

„ინტერმა“ მატერაცისა და ვიერის გოლების წყალობით სძლიეს „ბოლონიას“ და 16 ქულით დაწინაურდნენ სატურნირო ცხრილში, 13 ქულით მეორე ადგილზეა „მილანი“, ხოლო 12 ქულა აქვს მესამე ადგილზე მყოფ „იუვენტუსს“.

*ტურის სხვა მატჩები:* ლაციო — რომა 2-2, ბრეშა — კომო 1-1, პარმა — ატალანტა 2-1, პერუჯა — მოდენა 2-0, რეჯინა — ტორინო 2-1, იუვენტუსი — უდინეზე 1-0.

**ინგლისის პრემიერლიგის** მეთერთმეტე ტურში „არსენალმა“ შინ 1-2 წააგო „ბლექბერნთან“. სტუმრები მეექვსე წუთზე ედუს მიერ საკუთარ კარში გატანილი გოლით დაწინაურდნენ, მანვე ტაიმის ბოლოს გამოასწორა თავისი შეცდომა. მეორე ნახევრის დასაწყისში კი იორკმა გამარჯვების გოლი გაიტანა მასპინძელთა კარში. „მანჩესტერ იუნაიტედი“ საკუთარ მოედანზე ფრეს (1-1) დასჯერდა „ასტონ ვილასთან“ შეხვედრაში. „ლივერპულმა“ 2-1 სძლია „ტოტენჰემს“, 27 ქულა დააგროვა და 4 ქულით უსწრებს „არსენალს“. 19-19 ქულით მესამე-მეხუთე ადგილებს იყოფენ „ჩელსი“, „მანჩესტერი“ და „ტოტენჰემი“.

*ტურის სხვა შეხვედრები:* საუთჰემპტონი — ფულემი 4-2, ვესტ ჰემი — ევერტონი 0-1, ბირმინგემი — სიტი 0-2, მიდლსბრო — ლიდსი 2-2, ნიუკასლი — ჩარლტონი 2-1.

**ესპანეთის პრემიერადივიზიონის** მეშვიდე ტურში ერთპიროვნულმა ლიდერმა „რეალ სოსიედადმა“ მორიგი გამარჯვება იზეიმა, ამჯერად შინ 2-1 სძლია „რასინგს“. ამ ტურში შთამბეჭდავი გამარჯვებები მოიპოვეს „ვალენსიამ“ და „ბარსელონამ“, რომლებმაც „ბილბაო“ და „ალავესი“ გაანადგურეს (შესაბამისად 5-1, და 6-1). მადრიდის „რეალმა“ შინ ფრედ (1-1) დაასრულა შეხვედრა „ვილიარეალთან“. „დეპორტივომ“ სტუმრად მოუგო „რაიო ვალეკანოს“ (2-1), ხოლო „სელტასა“ და „ატლეტიკოს“ შეხვედრაში ანგარიში არ გახსნილა.

*ტურის სხვა მატჩები:* მალიორკა — ოსასუნა 2-0, სევილია — ვალიადოლიდი 2-1, მალაგა — ესპანიოლი 3-4, ბეტისი — ბეტისი 1-1.

სატურნირო ცხრილს 17 ქულით „სოსიედადი“ ლიდერობს. 14-14 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ „ვალენსია“ და „სელტა“.

**საფრანგეთის პირველი დივიზიონის** მე-12 ტურში ფრედ (0-0) დასრულდა ლიდერის „ნიცასა“ და „ლანსის“ შეხვედრა. ამით ისარგებლა „ოსერმა“, რომელმაც 1-0 სძლია „რენს“ და 24 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა. მას ერთი ქულით ჩამორჩება „პსჟ“, რომელმაც ამ ტურში „მარსელი“ გაანადგურა (3-0). 22 ქულით მესამეზეა „ნიცა“.



რეალი – ვილიარეალი

*ტურის სხვა მატჩები:* აიაჩო — ლიონი 0-1, გენგამი — სედანი 0-1, ლე ავრი — ნანტი 1-1, ლილი — სოშო 1-0, მონპელიე — ტრუა 2-2, სტრასბური — ბასტია 2-0, ბორდო — მონაკო 2-2.

**გერმანიის ბუნდესლიგის** მეათე ტურში ბევრი მოულოდნელობა მოხდა. მიუნხენის „ბაიერნმა“ საკუთარ მოედანზე ვერ შეძლო ბუნდესლიგის დებიუტანტის „ჰანოვერის“ დამარცხება (3-3).

ფრედ — 1-1 დასრულდა „ჰერტასა“ და „ლევერკუზენის“ შეხვედრაც, ხოლო „ვერდერმა“ საკუთარ მოედანზე 1-4 წააგო დორტმუნდის „ბორუსიასთან“.

*ტურის სხვა მატჩები:* ვოლფსბურგი — ჰანზა 1-0, არმინია — ჰამბურგი 2-1, გლადბახი — მიუნხენი 0-1, შალკე — ნიურნბერგი 1-1, შტუტგარტი — კოტბუსი 0-0.

**გერმანიის მეორე ბუნდესლიგის** მეათე ტურში საკუთარ მოედანზე დამარცხდა „ფრაიბურგი“. კობიაშვილის, ცქიტიშვილისა და იაშვილის გუნდმა ვერაფერი გააწყო „როიტლინგენთან“ (1-4). ახლა „ფრაიბურგს“ 19 ქულა აქვს და მესამე ადგილზე იმყოფება.

**ჰოლანდიის პირველი დივიზიონის** მეცხრე ტურში „აიაქსმა“ ქულა დაკარგა (1-1) სტუმრად „ვაალვაიკთან“, რითაც ისარგებლა პსვ „ეინდჰოვენმა“, რომელმაც სტუმრად „ნაიმეგენი“ გაანადგურა (5-0) და დაეწია „აიაქსს“. ახლა ორივე გუნდს 23-23 ქულა აქვს. მესამე ადგილზეა „როდა“ (19 ქულა).

*ტურის სხვა მატჩები:* როდა — გრააფსხაპი 5-0, ჰერენვენი — ექსელსიორი 2-0, ალკმაარი — ტვენტე 1-2, ფეიენოორდი — ტილბურგი 5-1, ბრედა — ვიტესი 0-0.

**შოტლანდიის პრემიერლიგის** მორიგ ტურში კვლავ გაიმარჯვეს „სელტიკმა“ და „რეინჯერსმა“, რომლებმაც, შესაბამისად, „დანფერმლაინი“ (4-1) და „კილმარნოკი“ (6-1) იმსხვერპლეს. გათამაშებას 32 ქულით ისევ შოთა არველაძის „რეინჯერსი“ ლიდერობს, მას ერთი ქულით ჩამორჩება „სელტიკი“.

*ტურის სხვა მატჩები:* აბერდინი — ჰიბერნიანი 0-1, დანდი იუნ. — პარტიკი 1-1, ჰართსი — დანდი 1-2, მოზერვილი — ლივინგსტონი 1-5.

**რუსეთის ჩემპიონატის** 27-ე ტურში „სპარტაკმა“ სტუმრად მოუგო „როტორს“ 3-0, ცსკამ — „ურალანს“ (2-1). გათამაშებას 57 ქულით (27 თამაშიდან) ცსკა ლიდერობს. მას ერთი ქულით ჩამორჩება „ლოკომოტივი“, თუმცა ამ უკანასკნელს 26 თამაში აქვს ჩატარებული. 28 თამაშიდან 55 ქულით მესამე ადგილზეა „სპარტაკი“.

*ტურის სხვა მატჩები:* შინიკი — ზენიტი 1-1, როსტსელმაში — დინამო 1-1, კრილია — სოკოლი 0-1, ტორპედო — ალანია 2-0, ანჟი — სატურნი 1-1.

**ჩეხეთის ჩემპიონატის** მეთორმეტე ტურში მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს „სპარტამ“ და „სლავიამ“, რომლებმაც შესაბამისად მოუგეს „იაბლონეცს“ (2-0) და „ბრნოს“ (2-0). უეფას თასზე თბილისის „დინამოს“ ყოფილი მეტოქე „ლიბერეცი“ კი 0-4 დამარცხდა „ქიქკოვთან“. გათამაშებას 27 ქულით ლიდერობს „სპარტა“. 22 ქულით მეორე ადგილზეა „სლავია“, ხოლო „ლიბერეცს“ 20 ქულა აქვს და მესამეზეა.

*ტურის სხვა მატჩები:* ბლშანი — ბანიკი 1-0, ზლინი — ბუდეოვიცე 1-2, კრალოვე — სინოტი 1-1, სიგმა — ტეპლიცე 0-1.

## მეხმა ფეხბურთელები იმსხვერპლა!

**ამინდის ჭირვეულობას, ზოგჯერ სავალალო შედეგები მოაქვს. რამდენიმე დღის წინ კოლუმბიური საფეხბურთო კლუბ „დეპორტივოს“ მცველი, 32 წლის გავირია ერთ-ერთი დილის ვარჯიშის დროს... მეხმა იმსხვერპლა.**

**მეხის დაცემის შემდეგ, გავირია ქალაქ კალის საავადმყოფოში მოათავსეს, თუმცა, ექიმების ცდა, ეხსნათ ახალგაზრდა ფეხბურთელის სიცოცხლე, ამაო გამოდგა: გავირია გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.**

**უნდა ითქვას, რომ მეხის დაცემის შედეგად სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო ოთხმა ფეხბურთელმა.**

**მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ბუნების ამგვარ სტიქიას ორი დღის განმავლობაში კიდევ ოთხი ფეხბურთელი ემსხვერპლა.**



## ბელიონი არჩევანის წინაშე

**ინგლისურ საფეხბურთო კლუბ „სანდერლენდის“ ფორვარდი დავიდ ბელიონი საკმაოდ უცნაურ სიტუაციაში აღმოჩნდა: მან უნდა გადაწყვიტოს, რომელი ეროვნული ნაკრების ღირსებას დაიცავს — საფრანგეთის თუ სენეგალის?**

**ბელიონი საფრანგეთში დაიბადა, თუმცა მამამისი სენეგალელია. აფრიკული ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელობა დიდ ინტერესს იჩენს ამ ფორვარდის მიმართ. გარდა ამისა, ბელიონს ორჯერ შეეძლო მოხვედრილიყო საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში, თუმცა, ბოლო მომენტში არ გამოიძახეს.**

**„სენეგალის ნაკრების ხელმძღვანელობა რამდენიმე დღის წინ დამიკავშირდა და ამ გუნდში თამაში შემომთავაზა. ამ მომენტისათვის რთული არჩევანის წინაშე ვარ. ჩემი სიმპათიები, რა თქმა უნდა, საფრანგეთის ნაკრების მხარეზეა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია“, — განაცხადა დავიდ ბელიონმა.**

## ისევ მარადონა და ისევ... სკანდალი



*მარადონა საკუთარი დაბადების დღის აღსანიშნავ საღამოზე*

მორიგ სკანდალში გაეხვია ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა. გაზეთ „პანამა ამერიკას“ ფოტოგრაფმა რიკარდო იტურიაგამ არგენტინელი ვარსკვლავი მასზე თავდასხმაში დაადანაშაულა. როგორც ირკვევა, ფოტოგრაფი ცდილობდა, სურათი გადაეღო მარადონასათვის. ეს უკანასკნელი, ეტყობა ხასიათზე ცოტა ვერ იყო და იტურიაგას კისერში სწვდა.

„ის უხეში და არანორმალურია. მე სურათის გადაღება მინდოდა. ის კი თავს დამესხა და კისერში ხელები წამიჭირა“, — ამბობს იტურიაგა. დიეგომ ჟურნალისტთა ჩივილს ყურადღება არ მიაქცია.

უნდა აღინიშნოს, რომ იტურიაგა კიდევ იოლად გადარჩა, რადგან დიეგო, ჟურნალისტებს, როგორც „წესი“, „ცხელი ტყვიით“ უმასპინძლდება ხოლმე.

## „სპარტაკი“ და „ბაზელი“ 6 ნოემბერს ითამაშებენ

**მოსკოვში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით, უეფამ მიიღო გადაწყვეტილება, ჩემპიონთა ლიგის მატჩი, მოსკოვის „სპარტაკსა“ და შვეიცარიულ „ბაზელს“ შორის გაიმართოს მოგვიანებით — 6 ნოემბერს.**

## უეფამ და ფიფამ ლეგიონერთა რაოდენობაზე შეიძლება ლიმიტი დააწესონ



*იუჰანსონი ახალ რეფორმებზე ფიქრობს...*

**როგორც ჩანს, ფიფასა და უეფას ჩინოვნიკებს ბოლო დროს არ მოსწონთ ზოგიერთი ევროპული წამყვანი კლუბის ლამის სრული გალეგიონერება. ორივე საფეხბურთო ორგანიზაციაში უკვე ფიქრობენ, ლეგიონერთა 6 ლიმიტის დაწესების თაობაზე. თუკი ეს პროექტი განხორციელდა, ცხადია, ის კლუბები დაზარალდებიან, რომელთა შემადგენლობაში ხუთზე მეტი ლეგიონერი თამაშობს. ფიფა და უეფა სწორედ 5 ლეგიონერის მოედანზე ყოლას მიიჩნევენ მიზანშეწონილად თითოეული გუნდის მხრიდან.**

## შოტლანდიელები ავსტრიელებს ამხანაგურად გაეჯიბრებიან

შოტლანდიის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა განაცხადა, რომ 30 აპრილს მისი გუნდი ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს ავსტრიის ნაკრებთან, ხოლო ამ დღეს დანიშნული ასევე ამხანაგური მატჩი ირლანდიის ნაკრებთან 12 თებერვლისთვის გადმოიწევს.

## ტოტალიზატორის მოყვარულთათვის

გთავაზობთ ჩემპიონთა ლიგის მეხუთე ტურის დღევანდელი და ხვალინდელი მატჩების ფსონთა კოეფიციენტებს ევროპული ტოტალიზატორის „უილიამ-ჰილის“ მიხედვით:

29 ოქტომბერი

| | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| მაკაბი - მანჩესტერი | 3.00 | 3.40 | 2.00 |
| ნიუკასლი - დინამო კ. | 1.66 | 3.30 | 4.50 |
| ბრიუგე - ბარსელონა | 2.20 | 3.20 | 2.80 |
| დეპორტივო - ბაიერნი | 2.20 | 3.25 | 2.75 |
| გალათასარაი - ლოკომოტივი | 1.36 | 3.75 | 8.00 |
| იუვენტუსი - ფეიენოორდი | 1.40 | 3.60 | 7.50 |
| ლანსი - მილანი | 2.00 | 3.20 | 3.20 |
| ლევერკუზენი - ოლიმპიაკოსი | 1.50 | 3.40 | 6.00 |

30 ოქტომბერი

| | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| დორტმუნდი - არსენალი | 2.37 | 3.10 | 2.62 |
| აეკ-გენკი | 1,66 | 3.30 | 4.50 |
| ლივერპული - ვალენსია | 2.20 | 3.00 | 3.00 |
| ლიონი - აიაქსი | 1.80 | 3.30 | 3.75 |
| ინტერი - რუსენბორგი | 1.28 | 4.50 | 8.00 |
| რეალი-რომა | 1.61 | 3.30 | 5.00 |
| პსვ - ოსერი | 2.10 | 3.20 | 3.00 |



ცქიტიშვილი



სტეფანია

# ამ ორ ქართველს დღეს ნბა-ს ჩემპიონატში ვნახავთ

**დღეს იწყება ნბა-ს მორიგი რეგულარული ჩემპიონატი. პირველად ისტორიაში ამ „მეორე მსოფლიო ჩემპიონატად“ წოდებულ ტურნირში ორი ქართველი — ვლადიმერ სტეფანია და ნიკა ცქიტიშვილი ითამაშებს.**

ცქიტიშვილი, მოგეხსენებათ, წლეულს გადავიდა „დენვერ ნაგეთსში“. მას 22 - ნომრიანი მაისურით იხილავენ მოედანზე. მის გარდა, ამ გუნდის შემადგენლობაში არიან დონელ ჰარვი, ვინსენტ იარბრო, პრედრაგ სავოვიჩი, ჯუვან ჰოვარდი, ლორინცა ჰარინგტონი, როდნი უაიტი, დერიკ მარტინი, კენი სატერფილდი, კრის ანდერსენი, ჯორჯ მაკლოუდი, მარკუს კემბი, ბრაიანტ ნოტრი, ზენდონ ჰამილტონი, მარკ ბლაუნტი, ნენე ჰილარიო. რაიან ბოუენი და ჯიმს ჰოსი. უნდა აღინიშნოს, რომ გუნდში ყველაზე მაღალი კალათბურთელები ცქიტიშვილი და ბლაუნტი არიან (213 სმ).

რაც შეეხება ვლადიმერ სტეფანიას, ის კვლავ „მაიამშია“, გუნდში ყველაზე მაღალია (216 სმ), და 50 ნომრიანი მაისურით იასპარეზებს. „მაიამის“ შემადგენლობა წელს ასე გამოიყურება: ტრევის ბესტი, ლაფონსო ელისი, კერონ ბატლერი, ედი ჰაჯი, ედი ჯონსი, მაიკ ჯეიმსი, ლუკ რეკერი, შონ დემპლი, შონ მარქსი, ენტონი კარტერი, ალონსო მოურნინგი, მალიკ ალენი, ბრაიან გრანტი, რასუალ ბატლერი, ერნესტ ბრაუნი, კენ ჯონსონი.

# ოლაჯიუვონი კალათბურთიდან 9 ნოემბერს წავა

**ნბა-ს ვარსკვლავი ჰაკიმ ოლაჯიუვონი დიდ კალათბურს 9 ნოემბერს დატოვებს ჰიუსტონის არენაზე, ანუ იქ, სადაც მან თავისი ბრწყინვალე კარიერა დაიწყო. ამ დღეს „ჰიუსტონი“ ეთამაშება „გოლდენ სტეიტს“. „ჰიუსტონის“ შემადგენლობაში ოლაჯიუვონმა 17 სეზონი გაატარა, 1994 და 1995 წლებში ნბა-ს ჩემპიონობა მოიპოვა. ამ მართლაცდა ბრწყინვალე კალათბურთელის კარიერა ველარ გრძელდება ზურგის ტრავმის გამო.**

## პირველად სამთო-სათხილამურო სპორტის ისტორიაში...

ავსტრიის ქალაქ ზოლდენში ჩატარდა მსოფლიო თასის გათამაშება გიგანტურ სლალომში ქალთა შორის. საინტერესოა, რომ სპორტის ამ სახეობაში პირველად, შეჯიბრებას სამი გამარჯვებული ჰყავს, — ავსტრიელმა ჰოსპმა, ნორვეგიელმა ფლემენმა და სლოვენიელმა მაუემ ფინიშამდე მისვლას ერთნაირი დრო — 1 წუთი და 41.91 წამი მოანდომეს.

# სადილი, რომელიც... მილიონი ღირს



ტრინიდადი

**სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ფელიქს ტრინიდადი დათანხმდა პირველ საშუალო წონაში ვბც-სა და ვბა-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონთან ოსკარ დე ლა ჰოიასთან შეხვედრას. სხვათა შორის, მიმდინარე წლის ივლისში ტრინიდადმა განაცხადა, რომ ასრულებს თავის ხპორტულ (მართლაც რომ ბრწყინვალე) კარიერას. ოსკარ დე ლა ჰოიას თქმით, ტრინიდადს ჯერ სადილად შეხვდება, სადაც იგი შეეცდება, ჯერ დაარწმუნოს რინგზე დაბრუნების აუცილებლობაში და შემდეგ დაიყოლიოს მატჩ-რევანშში მონაწილეობაზე.**

**„მე მსურს, მოველაპარაკო ფელიქსს და გავიგო, საბოლოოდ გადაწყვიტა თუ არა წასვლა რინგიდან. შევეცდები დავარწმუნო, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა ძალიან ადრეა. დარწმუნებული ვარ, ეს სადილი, ორთაბრძოლაზე უფრო ძვირფასია“ — განაცხადა ოსკარ დე ლა ჰოიამ.**

# ლიუისთან ბრძოლისათვის ვიტალი კლიჩკო 5 მილიონ დოლარს მიიღებს

როგორც ცნობილი გახდა, ვბც-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა, მძიმეწონოსანმა ლენოქს ლიუისმა წინასწარი თანხმობა განაცხადა უკრაინელ მოკრივე ვიტალი კლიჩკოსთან ბრძოლის გამართვაზე. მართალია, მომავალი ორთაბრძოლის შესახებ ზუსტი ოფიციალური განცხადება 23 ნოემბრის შემდეგ გაკეთდება. თუმცა გაზეთ „ბილდის“ ცნობით, მეტოქე მხარეები ბევრ საკითხში უკვე შეთანხმდნენ. ისიც გაირკვა, რომ ამ ორთაბრძოლისათვის ლიუისი 15 მილიონ დოლარს მიიღებს. კლიჩკო კი — 5 მილიონს. ჯერჯერობით, უცნობი რჩება შეხვედრის დრო და ადგილი.

## მოცურავეთა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებისათვის ხუთი ქალაქი იბრძვის

2007 წელს უნდა ჩატარდეს მოცურავეთა მსოფლიო ჩემპიონატი 50-მეტრიან აუზში. ჯერჯერობით, არ არის დაზუსტებული ჩატარების ადგილი. ამ ღონისძიების მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად ხუთი ქალაქი იბრძვის — დუბაი, სტამბული, მელბურნი, რიო-დე-ჟანეირო. და ერთ-ერთი გერმანული ქალაქი (გერმანელებს განაცხადი კი აქვთ წარდგენილი, თუმცა ქალაქი ჯერ არ დაუკონკრეტებიათ). კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება 2003 წელს.

## სიხარულიძისა და ბერეჟნაიას არყოფნაში...



ტოტმიანინა და მარინინი

**აშშ-ში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი ფიგურულ სრიალში „გრან პრი“ — „სკეიტ ამერიკა“. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს აშკარა ფავორიტებმა ანტონ სიხარულიძემ და ელენა ბერეჟნაიამ, თუმცა რუსები ოქროს მედლების გარეშე მაინც არ დარჩენილან. სწორედ წყვილთა თანრიგში გაიმარჯვეს ტატიანა ტოტმიანინამ და მაქსიმ მარინინმა.**

## განცხადება

**კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე, გაზეთ „ლელოს“ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით, პიროვნებებისა და ორგანიზაციების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებული წერილები გამოქვეყნდება მხოლოდ დაკვეთით, გაზეთში გამოყოფილი ფართისთვის შესაბამისი ანაზღაურების გადახდის შემდეგ (50 პროცენტი ფასდაკლებით). ანაზღაურებას არ ექვემდებარება მასალების გამოქვეყნება ოლიმპიურ ჩემპიონებსა და პრიზიორებზე.**

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა სამძიმარს უცხადებს წყალში ხტომაში ოლიმპიური თამაშების პრიზიორს, მრავალ საერთაშორისო ასპარეზობებში გამარჯვებულსა და პრიზიორს ლიანა ცოტაძეს დედის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა სამძიმარს უცხადებს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანს წყალში ხტომაში ლიანა ცოტაძეს დედის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობების ეროვნული ფედერაცია, სპორტკომპლექს „ლაგუნა-ვერეს“ სპორტსმენები და თანამშრომლები ღრმა სამძიმარს უცხადებენ წყალში ხტომაში ოლიმპიური თამაშების პრიზიორს ლიანა ცოტაძეს დედის გარდაცვალების გამო.**

დაკრძალვა 29.X, 14 სთ. მისამართი: ნუცუბიძის პლატო, III მიკრ. რაიონი, II კვ. VII კორპ.

**ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური სამძიარს უცხადებს ოლიმპიური თამაშების პრიზიორს წყალში ხტომაში ლიანა ცოტაძეს დედის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობების ფედერაცია, ვეტერანი წყალბურთელები, სსრკ პირველი ჩემპიონები ქალებს შორის წყალბურთში თბილისის „ივერიის“, თბილისის მერიის ბავშვთა და მოზარდთა სპორტის საწყლოსნო სახეობების ოლიმპიური რეზერვების სასპორტო სკოლა და სპორტკომპლექს „ლაგუნა-ვერეს“ სპორტსმენები და თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მწვრთნელს წყალბურთში ვაჟა ჩერტკოევს დედის გარდაცვალების გამო.**

დაკრძალვა: 29 ოქტომბერს, 14.00 საათზე.
მისამართი: თემქა, III მიკრო-რაიონი, I კვარტალი, XI კორპუსი.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




29 ოქტომბერი, სამშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგა: „იუვენტუსი“ – „ფეიენოორდი“ (23.40). მიმოხილვა (2.00). *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (20.00), *მე-9 არხი.* მსოფლიო რაგბი (14.00). ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ. плюс футбол.*** განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (13.15, 16.45, 19.20), გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.45), „ფუტბოლ მუნდიალი“ (21.00), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (21.30), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (22.25). ჩემპიონთა ლიგა: ინგლისის „ნიუკასლი“ – უკრაინის „დინამო“ (23.20), მიმოხილვა (1.35), ***НТВ. плюс спорт.*** მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა (14.30), კალათბურთი. ჩემპიონთა თასი. რუსეთის „უნიკსი“ – პოლონეთის „ოსტრუვი“ (19.55), ***EUROSPORT.*** სათხილამურო რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები, ქალები (11.30), ფეხბურთი, ევროგოლები (13.15), თანამედროვე ხუთჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი (15.30), ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (16.30), საცხენოსნო მსოფლიო თამაშები (18.00), ნიჩბოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (19.30), სუმო. სუმოს დიდი ტურნირი (2.15, 3.15).

30 ოქტომბერი, ოთხშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგა (15.20). „რეალი“ – „რომა“ (23.40). მიმოხილვა (2.00). *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 22.30), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (14.45, 20.00), ***НТВ.*** ჩემპიონთა ლიგა. რუსეთის „სპარტაკი“ – შვეიცარიის „ბაზელი“. პირდაპირი ტრანსლაცია (20.40). ***НТВ. плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა (13.15, 15.00, 16.45, 1.35). იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (19.35). ჩემპიონთა ლიგა. რუსეთის „სპარტაკი“ – შვეიცარიის „ბაზელი“ (20.30), ესპანეთის „რეალი“ – იტალიის „რომა“ (23.20). ***НТВ. плюс спорт.*** ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატი (12.20), კიკბოქსინგი (18.10), მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა (23.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლები (12.00), სამთო ველორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (15.30). რიტმული ტანვარჯიში, ევროპის ჩემპიონატი (16.30). მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი (17.30), მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (19.30). ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (20.30). ბილიარდი. ევროპის თასი (22.00), საცხენოსნო სპორტი: გრან-პრი (23.00), მსოფლიო ჩემპიონატი. ხტომები (0.00). სუმო. სუმოს დიდი ტურნირი (1.15).

31 ოქტომბერი, ხუთშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგა (15.20). *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 20.00). *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (14.45). ***НТВ. плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა (13.15, 15.00, 18.25, 21.05), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (17.15), „ფუტბოლ მუნდიალი“ (20.35, 1.05), ჩემპიონთა ლიგა. მატჩების მიმოხილვა (22.50), ინგლისის (0.10) და ესპანეთის 1.35) ჩემპიონატების მიმოხილვა. ***НТВ. плюс спорт.*** ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატი (11.45, 17.00, 1.15). კიკბოქსინგი (15.10), ჩოგბურთი. „მასტერსის“ სატურნირო სერია (19.30, 23.30), ტრიატლონი. მსოფლიო თასი (21.00), ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (22.45). ***EUROSPORT.*** საცხენოსნო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (13.30), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები (14.30). მშვილდოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (15.30), ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტრეკზე რბოლაში (19.00), ბილიარდი. ევროთასი (22.00), სუმო. სუმოს დიდი ტურნირი (23.00), ფეხბურთი. უეფას თასი. მიმოხილვა (2.15), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (3.45).



## კროსვორდი № 84

თარაზულად: 1. ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი, 5. ინგლისის საფეხბურთო კლუბი, 7. წარსულში ცნობილი მოფარიკავე საქართველოში, იური... 8. პარაგვაის საფეხბურთო ნაკრების წევრი, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე სარაბიას სახელი, 9. ფოთის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ მწვრთნელი, 11. ილეთი, ანუ... 12. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი 1984-86 წლებში, 17. რუსთავის „აზოტის“ კალათბურთელთა გუნდის მწვრთნელი, 19. შედეგიანი ილეთი ფარიკაობაში, 20. იაპონელი პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ტანვარჯიშში, 21. წარსულში ცნობილი ქართველი მოფარიკავე.

შვეულად: 2. რაგბის საერთაშორისო ფედერაცია, 3. წარსულში „დინამოს“ ფეხბურთელი — მეკარე, 4. ვეტერანი ქართველი კალათბურთელი, 5. ცნობილი იტალიელი საფეხბურთო სპეციალისტი, 6. ისტორიული პიროვნება, ქართველი მოჭადრაკე, 9. ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაცია, 13. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი 1982-83 წლებში, 14. საფარიკაო იარაღი, 15. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 16. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 18. იაპონელი ფეხბურთელი, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე.

### კროსვორდი №83 პასუხები

თარაზულად: 1. სასროლეთი, 7. კრივი, 8. ტრავერსი, 9. „ნიუკასლი“, 11. ატაცი, 13 სარბიელი, 15. „მეცი“, 18. ვქსცესი, 21. გეგიძე, 22. შორტი. შვეულად: 1. საკანდელიძე, 2. „სტიაუა“, 3. „ოსი“, 4. თარჯი, 5. ოკაძიამი, 6. პრიზი, 10. „არაუ“, 12. ცერცვაძე, 14. ბუერი, 16. მაცოლა, 17. გეტრი, 19. ქანი, 20. სუმო.

## საჭადრაკო ამოცანა

ვ. კალანდაძე, II სვეცარიზი



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. მფg2 მფg5 2. მფh3; 1. ...g5 2. ეe7.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩხილაძე